სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო,
მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იაკობ გოგებაშვილი

● № 6 (4581) ● 10 აპრილი ● 2019 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი

თბილისის მე-14 საჯარო სკოლა რეფორმების გზაზე

ინიციატივებს წარმატებით ახორციელებენ

მდიდარი ტრადიციების მქონე ეს სკოლა სარეფორმო გამოწვევებისათვის მზად არის. რა და ვინ გვაძლევს ამის თქმის უფლებას? ვინ და, აქ მოღვაწე პროფესიონალი პედაგოგები და გამოცდილი, ენერგიული ხელმძღვანელ-მუშაკები. მართლაც რომ ასეა, დასტურდება წლების მანძილზე მიღწეული წარმატებებით, სწავლა-აღზრდის მაღალი ხარისხით. ახალგაზრდა, ინიციატივიანი, სიახლის მაძიებელი დირექტორი **მაკა გიორგაძე** სწორად მიუყვება სარეფორმო გზას. უნარიანად წარმართავს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს. მას მხარს უმშვენებენ ასევე გატაცებით მოღვაწე მოადგილე **მაია ლომიძე**, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **მედეა პატარაია** და, რა თქმა უნდა, ზემოთ ნახსენები ძლიერი მასწავლებლები. მოსწავლეთა თვითმმართველობას, რომელსაც ნიჭიერი XI კლასელი **ანა ხერკელაძე** თავმჯდომარეობს, სიცოცხლე და ხალისი შეაქვს სკოლის ცხოვრებაში.

მთავარი კი მაინც პედაგოგიური კადრებია და არც ამისი დეფიციტია. 51 პედაგოგიდან 33 უფროსი მასწავლებელია. წამყვანი მასწავლებლის წოდებისთვის წარმატებით გაიარეს კონკურსი, ანუ გარე დაკვირვება **ქრისტინე კამლაძემ, იათამზე ქოსაშვილმა,**

დარეჯან კობალაძემ. ისინი მიზანთან ახლოს არიან.

გასულ სასწავლო წელს ოქროს მედლის მფლობელები გახდნენ კურსდამთავრებულები: **ბორის კეშელავა, თამარ ჩოკორაია, ანა ჭეჭვაძე, მარინა მატარაძე, ლიკა ხიზანიშვილი;** ვერცხლისა – **ივიკო მოწონელიძე** და **ნათია უგრეხელიძე.**

სხვა კუთხითაც თვალსაჩინო წარმატებებია მიღწეული: შეკეთდა I კლასები. კარგად ფუნქციონირებს რესურსოთახი, საფრანგეთისა და ჩინეთის საელჩოებთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად ხალისით მიმდინარეობს ფრანგული და ჩინური ენების სწავლება. განათლების სამინისტრომ დაფინანსა პროექტი **„სურსათის უვნებლობა“**, რომელიც განახორციელა საზკოლეჯმა **„მერმისმა“** – დირექტორი **ნონა ღუდუშაური.**

ასევე პროექი „კომპიუტერული პროგრამები“ (გლდანის პროფმომზადების ცენტრი – **ნოდარ ხარაზიშვილი**).

იტყვიან, მიღწევები სასწავლო-აღმზრდელობით დარგში პირდაპირპროპორციულია საგნობრივი კათედრების მოქნილი მუშაობისა. ასეც არის. ეფექტიანია ქართული ენა-ლიტერატურის კათედრის – ხელმძღვანელი **ლელა ჯანაშია**, მათემატიკის – **ლალი სიაშვილი**, უცხო ენების – **ირინე მაისურაძე**, საზმეცნიერების – **თეა ნიკოლეიშვილი**, საბუნებისმეტყველო – **ლიანა ასათიანი**, ესთეტიკა-სპორტის – **ნანა თევზაძე**, დაწყებითი განათლების – **იათამზე ქოსაშვილი** საქმიანობა.

„უსაფრთხო სკოლის“ პრობლემა მოგვარებულია მანდატურების : **ზაზა თალიაშვილის, ფიქრია გოდინაძის, თეა ჩიტორელიძის** კარგი მუშაობით.

მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლების, კულტურული მკითხველის, წიგნის მოყვარულთა აღზრდის მიზნით გატაცებით მუშაობს გამოცდილი ბიბლიოთეკარი **ეკა სურგულაძე.**

სკოლის საერთო წარმატებებში ასევე დიდი წვლილი შეაქვს საქმისმწარმოებელს **ზიზი გორგაძეს** და ბუღალტერ **ლელა ცხოვრებაძეს**.

ყველაზე მთავარი კი, საქმის თავიდათავი მაინც არის საგაკვეთილო პროცესი და მოსწავლეთა ჩართულობა-აქტივობები სასწავლო-აღმზრდელობით ღონისძიებებში, კონკურსებში, ოლიმპიადებში... სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, აღზრდა-სწავლებაში მაღალი შედეგების მიღწევა ხომ სარეფორმო მოთხოვნათა ქვაკუთხედი გახლავთ. ამ სფეროში მიღწეული შედეგების წარმოსაჩენად ფაქტების მოკლე ჩამონათვალიც კმარა.

უცხო ენების კათედრამ კარგი შედეგები გვიჩვენა. ფრანგული ენის ოლიმპიადამ პედაგოგ **ნინო წოწკოლაურის** ორი გამარჯვებული გამოავლინა. XI^2 კლასელები **ანა ბულაძე** და **გვანცა ძამუკაშვილი. ნათელა ჩადუნელისა** და **ნ. სიხარულიძის** VII და IX კლასებმა გამოუშვეს კედლის გაზეთი. გეოგრაფიის მასწავლებელმა **თეა ნიკოლეიშვილმა** გამოცდილების გაზიარების მიზნით VII^1, VII^2 და IX^1 კლასებში ჩაატარა შემაჯამებელი გაკვეთილები. პედაგოგ **ნუნუ ალუღიშვილის** XI^2 კლასელმა **ვანო ქავთარაძემ** საოლიმპიადო ტურში გაიმარჯვა. მათემატიკის ეროვნულ ოლიმპიადაში წარმატებას მიაღწიეს **ლია ნოზაძისა** და **ნინო დემურიშვილის** VII-X კლასელებმა. **თამარ წიქორიშვილის** VII^1 კლასელებმა გამოუშვეს კედლის გაზეთი **„მათემატიკური სოფიზმები“**. საინტერესო იყო **ვალია ჟივიძის** V^1 კლასელთა **„მეჯლისი პრინცესასთან.“**

დაწყებითი განათლების კათედრასაც ვესტუმროთ. დაწყებითები 14 აპრილს ქართული ენის, ანუ დედაენის დღეს საინტერესო ღონისძიებებს მიუძღვნიან. რა თქმა უნდა, ეწვევიან **„დედაენის“** ძეგლს, რომელიც ამ სახელწოდებით ერთადერთია მსოფლიოში. მანამდე კი ბევრი ღონისძიება უკვე ჩაატარეს: **„ოქროსფერი შემოდგომა“**, **„საახალწლო ტრადიციები, ტრადიციები საქართველოს კუთხეებში“**, მხატვრული კითხვის კონკურსი, **„ტვინების ბრძოლა“**, **„ევერესტი“**, **„კინგსი“**, დედის დღის სარაიონო ღონისძიებაში **„საჩუქარი დედებს“** მეექვსეკლასელებმა **ანა მერნიმ** და **მარიამ**

→ გაგრძელება მე-2 გვ.

14 აპრილი დედაენის დღეა



გიორგი ლეონიძე

„დედა ენა“

ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ვარდნაბამი ფურცელი,
ჩვენს ყრმობაში ჩართული.

დედის ძუძუ მეორე,
სიყვარული პირველი,
ჩვენს აკვანს შემომჯდარი
მგალობელი ფრინველი.

იავნანის ნიავში
ჩვენს ყურთან რომ გაისმა,
ყრმობა რომ გვისურნელა,
როგორც ბაღი მაისმა.

ამ წიგნიდან გაბრწყინდა
ქართლის დიდი მთიები,
პირველ ფურცელს გაშლიდა
გამოხატულს იებით.

ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ოქროსხმიან სიმებად
გულში ამოხლართული!

დედა ენა
ანუ

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

თბილისის მე-14 საჯარო სკოლა რეფორმების გზაზე

პირველი გვერდიდან

ბერიშვილმა ცეკვა-სიმღერით მიულოცეს დედებს 3 მარტი.

აქტიურობით გამოირჩევიან ქართულისა და ისტორიის კათედრები. **ირმა მეხატიშვილის** IX² კლასელებმა წარმატებით განახორციელეს პროექტები **„სიკეთით სძლიე შენსა მტერსა“** და **„ჩვენ ყველაფერს შევძლებთ“**. **ლელა გლოველის** პროექტები: **„ჩემი საყვარელი პერსონაჟები“**, **„ჩემი შემოქმედება“**, **„ფრთიანი ფრაზები“** ასევე წარმატებული იყო.

აი, საინტერესო პროექტები ისტორიაში: **შორენა სამაკაშვილი** – ინტეგრირებული გაკვეთილი V³ კლასში **„ეთნოგრაფიული კუთხე – სამეგრელო“**, **ლელა ზაქარეიშვილი** – IX¹ კლასი ისტორიის მუზეუმში, შემაჯამებელი გაკვეთილი – **„25 თებერვალი“**. **ნატა მაისურაძე** – **„ინტგაკვეთილი“**. IX² კლასში – **„მმართველობის ფორმები“**, შეჯიბრება კლუბში **„ტვინების ჭიდილი“**.

საბუნებისმეტყველო მეცნიერების კათედრას გარკვეული მიღწევები აქვს. ქიმიის ოლიმპიადაში გაიმარჯვა XII კლასელმა **საბა ბაგაურმა.** საინტერესოა პედაგოგ **მანანა უსენაშვილის** მონაგარი,

V¹ კლასელებმა შეასრულეს პროექტი **„ბუნება ჩვენს გარემოში“**. მოსწავლეების ჩართულობით პედაგოგებმა კეთილმოაწყვეს ბიოლოგიის კაბინეტი, გამოსცა ეს კედლის გაზეთი, VI¹ კლასში ჩაატარა სადამრიგებლო ღონისძიებები.

გაგვახარეს ხელოვნების პედაგოგებმა: **ნანა თევზაძემ** – ღონისძიება **„იესო დაბადებულა“**. მუსიკის პედაგოგებმა: **ნინო აბუაშვილმა** და **გულნაზ ჯიმშერაშვილმა** ერთობლივი პროექტით **„შობა-ახალი წელი საქართველოს კუთხეებში“**, სადაც დაწყებითი კლასები დომინირებდნენ, ყველა მოხიბლეს.

ლელა გოქაძემ VI¹ კლასში ჩაატარა გაკვეთილი **„ნორჩი დიზაინერ-არქიტექტორები“**. რადგან ხელოვნებაზეა საუბარი, აქვე აღვნიშნავთ: საკმაოდ ნაყოფიერია მუსიკალური (მასწავლებელი **ბელა ბეჟუაშვილი**) და ხალხური ცეკვების წრეების მუშაობა. მეტად პოპულარულია მოსწავლეთა თეატრალური სტუდია **„ათინათის“** საქმიანობა. ამ სტუდიამ სამჯერ მოიპოვა I ადგილი მოსწავლეთა სასახლის კონკურსში. საქველმოქმედო ინიციატივებსაც ახორციელებს, საბავშვო ბაღებში აჩვენეს სპექტაკლები **„სიზმარა“**, **„რწყილი და ჭიანჭველა“**.

შთამბეჭდავია სპორტული წრის მიღწევები. **„კარატეში“** მრავალი საერთაშორისო ტურნირის (თურქეთი, სომხეთი, ევროპა) მრავალგზის გამარჯვებული არიან **ნიკა ნოზაძე** და **გიორგი ხარატიშვილი**. მათ სიხარულს იზიარებს ასევე მათი მწვრთნელი, სპორტის მასწავლებელი **იოსებ გელაძე**. სპორტის კათედრას შეუძლია ბევრი წარმატებით იამაყოს. მაგალითად, პოპულარულია ტურნირები შაშში. გამარჯვებულნი: **გვანცა ჭანიაშვილი** (VII¹ კლასი) **ლუკა ყორღანაშვილი** (VII²), **ავთანდილ წკრიალაშვილი** (VI¹³), ჭადრაკში – **დაჩი მამულაშვილი** (VII²), ნარდში – **მარიამ ივანიძე** (IX¹) და **საბა ანდღულაძე**, მხიარულ სტარტებში – **„თახვები“**.

ასეთი მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობენ მე-14 სკოლელები.

მკითხველი თავად გააკეთებს დასკვნას და უწინასწარმეტყველებს მათ რეფორმის გზაზე თვალსაჩინო გამარჯვებას.

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

მეთოდიკა

პოემა „განდეგილის“ სწავლებისთვის (სულისა და ხორცის ჭიდილი)

პოემა „განდეგილი“ არის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებაში. მანამდე მას არანაკლები წონის ნაწარმოებები ჰქონდა შექმნილი, მაგრამ ეს პოემა მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში ხაზგასმულია ადამიანის სულისა და ხორცის ჭიდილი. სწორედ ამიტომ გამომზეურებისთანავე უამრავი ადამიანის გულისწყრომა გამოიწვია, ხოლო კრიტიკოსმა, კიტა აბაშიძემ „ჩვენი მწერლობის ობოლი მარგალიტი“ უწოდა ამ პოემას. https://www.gfsis.org

არანაკლებ მნიშვნელოვანია კრიტიკოს-პუბლიცისტის აკაკი ბაქრაძის მოსაზრება ნაწარმოების შესახებ, რომელიც თავის წერილში, „გზა ხსნისა“, გამოთქვა. ადამიანის ღმერთისკენ ლტოლვა ორი სახით ხორციელდება, როგორც გრძნობის სურვილი და როგორც გონების ნება. **(ქართველი მწერლები სკოლაში. აკაკი ბაქრაძე).**

ბეთლემის მონასტერი, რომელსაც განდეგილი შეჰკედლებია, მყინვარზე მდებარეობს. მყინვარს ილია რამდენიმე ნაწარმოებში ახსენებს და მას სხვადასხვაგვარი ფუნქციური დატვირთვა აქვს. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბეთლემი მაცხოვრის დაბადების ადგილია.

პოემის გმირი განდეგილი წუთისოფელს „ვით ცოდვის სადგურს, ვით სამეუფოს ბოროტისასა“ მოშორდა და გულიდან განდევნა „მსოფლიოს ზრახვა, ფიქრი, წადილი“, ანუ საამქვეყნო ყველანაირი ფიქრი. ასეთი ასკეტური ცხოვრებით „ხორცი სულისთვის უწამებია“.

თუ კარგად დავაკვირდებით, მეუდაბნოეს გარეგნულ ხატში მისი შინაგანი, სულიერი პორტრეტი იკვეთება. განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება „მცხრალ თვალთა“ ღრმა მეტყველებაზე, რადგან ზოგადად თვალები სულის სარკეა.

მაშასადამე, ილიას უნდა გვითხრას, რომ ეს თვალები თითქოს სამოთხეს შესცქეროდნენ.

წმინდანისადმი მოვლენილი სასწაული არ უნდა გაგვიკვირდეს; ჯერ კიდევ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების შესწავლისას გვხდება უფლისგან მოვლენილი სასწაულები, მაგრამ განა მწირისთვის აუცილებელი პირობა იყო უფლის მხრიდან სასწაულის მოვლენა? მას ავიწყდება მაცხოვრის შეგონება **„ოდეს ჰყოთ ბრძანებული თქვენდა, თქუთ, ვითარმედ: მონანი ვართ უხმარნი; რომელი თანაგუედვა ყოფად, ვყავთ“ (ლუკა 17,10).**

რაც შეეხება განსაცდელს, ნებისმიერ ადამიანს მოუვლენს უფალი გამოსაცდელად.

განდეგილისთვის განსაცდელი ქვეყანაზე მოვლენილი წარღვნით იწყება; მართალია ლოცვას არ იშურებს მწირი ქვეყნიერების გადასარჩენად, მაგრამ მაინც არ ასცდება განსაცდელი, რომელსაც უფალი მოუვლენს. ლოცვის დროს მის ყურამდე მიღწეული ხმა იწვევს მასში ხორცისა და სულის ჭიდილს. მიუხედავად ეჭვისა, განდეგილი სენაკში შეუშვებს სტუმარს ფიქრით, რომ **„თუ მაცდური ხარ, სჩანს, ღმერთს სწადიან, მწირი ცოდვილი დღეს გამომცადოს“.**

მართალია, ხორციელი ქალია მისი სტუმარი და არა ეშმაკი, მაგრამ სწორედ იგი აღმოჩნდება თავისდაუნებურად ამქვეყნიური გრძნობების გამღვიძებელი და ამაფორიაქებელი. განდეგილის კერაზე მინავლებული ცეცხლი სიმბოლურად შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ მწირის სულში არის მინავლებული გრძნობები. ქალის თხოვნით ცეცხლის დანთება სიმბოლურად განდეგილის სულში მიმქრალი გრძნობების გამოღვიძებას უნდა ნიშნავდეს.

როგორც ბატონი გერონტი ქიქოძე ბრძანებდა, მწყემსი ქალი არის წარმომჩენი განდეგილის „მეორე მესი“. იწყება მასში შინაგანი ჭიდილი, ხოლო ქალსა და მწირს შორის გამართული დიალოგისას განდეგილში იღვიძებს მიწიერი გრძნობები; მეტიც, აღმოაჩენს, რომ სულში უჩნდება ბზარი **(გერონტი ქიქოძე; წერილები, ნარკვევები; თბილისი 1985 წ.).**

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებული ყურადღებით წარმოაჩენს ქალის სილამაზეს: **„თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს / ხორცსხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად, / უკეთეს სახეს ვერ ინატრებდა / თავის სიცოცხლის გამომსახველად.“**

მხატვარსაც კი გაუჭირდებოდა სიყვარულის (აბსტრაქტული გრძნობის) ასე ლამაზად გადმოცემა, როგორც ეს ილიამ მოახერხა. სწორედ ამიტომ მაშინვე მიიქცია ამ მშვენიერებამ მწირის ყურადღება **„და უცოდველის გულისტკივილით / ქალს შეაჩერა ტყვექმნილი თვალი“.**

თანდათან მძაფრდება განდეგილში ორთაბრძოლა სტუმართან საუბრისას. ქალის კითხვაზე, ნუთუ არ არის სულის ხსნის შესაძლებლობა, თუ ამ ყინულებში არ იქნება ადამიანი? მწირი უპასუხებს, რომ გზა ხსნისა ყველგან არის, ხოლო მას, უბედურს, ასეთი ბედი ერგო; სიტყვა უბედურის წამოცდენისთანავე იწყება ჭიდილი განდეგილის სულსა და ხორცს შორის. ქალის სახით მას მოევლინა განსაცდელი. მწირი ცდილობს, სულს დაეხმაროს ხორცთან ჭიდილში და ირგვლივ ეძებს ეშმაკს, მტერს, მაცდურს.

კიდევ უფრო მშვენიერია მიძინებული ქალი, რომლისკენაც მიმართულია განდეგილის ,,თვალი ტყვექმნილი, გაშტერებული''. მწირი გრძნობს, რომ მის გულში უცნაური გრძნობა იბადება. განდეგილს ეურჩებიან თვალები. მას აღარ ახსოვს სახარებისეული ფრაზა: **„უკუეთუ თვალი შენი მარჯუენე გაცთუნებდეს შენ, ამოიღე იგი და განაგდე შენგან: რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რათა წარჰსწყდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე ყოველი გუამი შენი შთავრდომად გეენიასა'' (მათე 5, 29).**

განდეგილი ვერ იმორჩილებს არა მარტო თვალებს, არამედ მოძალებულ გრძნობას, სურვილს, რომ ეამბოროს მძინარე ქალს. სწორედ აქედან იწყება მისი დაღმა დაშვება რწმენის თვალსაზრისით.

ბოლო ეპიზოდში აღწერილია, რომ ირგვლივ დაცარიელებულია ყველაფერი; იქ მხოლოდ ნატამალი, ნანგრევებია, ქარი ქშუის, რითაც ავტორი განდეგილის სახით იმაზე მიანიშნებს, რომ დაცარიელებულია ზოგადად ქართველი ადამიანის სული; რწმენა აღარ არის მასაზრდოებელი ძალა ქართველი კაცისა.

ბრიტანელი სწავლულის, **მარჯორი უორდროპის**, აზრით განდეგილის სახეში შეიძლება საქართველო ვიგულისხმოთ. (მარჯორიმ თარგმნა პირველად ინგლისურ ენაზე არა მარტო ,,განდეგილი'', არამედ ,,ვეფხისტყაოსანი'', რომელიც ლონდონში მისმა ძმამ ოლივერ უორდროპმა გამოსცა 1912 წელს) https://Ka.wikipedia.org

განდეგილის ცხოვრების გზა შეიძლება გავიაზროთ, როგორც ქართველი ხალხის ცხოვრების გზა. ერს გადარჩენისთვის დიდი რწმენა სჭირდება, არ კმარა მხოლოდ უფლის შეწევნა, საჭიროა ხალხის ძალისხმევა, მუდმივი სიფხიზლე, ამიტომ უნდა აღვიქვათ პოემა ,,განდეგილი'' სულის საზრდოდ, რათა შევძლოთ გადარჩენა.

ლიანა ჯანგულაშვილი–გელაშვილი,
თბილისის 83-ე საჯარო სკოლის, ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი პედაგოგი

საქმემან შენმან...

რა ჰქვია ამას, თუ არა ოდენ ღვაწლი და მოღვაწეობა?

ერთ ჭორიკანა ჟურნალში ჟურნალისტი ეკითხება მოდელ გოგონას: „სად მოღვაწეობთ?“ სრული პასუხი: „მე ვმოღვაწეობ პოდიუმზე“.

როგორია?

რას იზამ? ამის დამბეჭდავ ჟურნალს ჟურნალი ჰქვია; ასეთი ჟურნალისტს – ჟურნალისტი. მოდელს კი, აბა, რა უნდა მოკითხო?

უვიცობით – გაუაზრებლად, ან გამიზნულად, სარგებლიანად ვარიგებთ ტიტულ-თიკუნებს პრინციპით, შენ — მე, მე – შენ. ზუსტად კრილოვისეული მამლისა და გუგულის ამბავია: მამალი იმიტომ აქებს გუგულს, რა კარგად მღერო, რომ გუგული ასევე აქებს მამალს.

არადა, წესითა და რიგით, ზღვარსგადასული ხოტბა ისეთივე დამამცირებელ-შეურაცხმყოფებელი უნდა იყოს, როგორც – დაუმსახურებელი ლანძღვა-გინება.

ერთმა გონიერმა კაცმა თქვა, ცუდად ცოდნას, სულაც არ-ცოდნა ჯობსო. ცუდად ცოდნას სხვაგვარად დილეტანტობა ჰქვია. სწორედ ეს აქცევს ქვეყანას. მიმოვიხედოთ.

ამ მქისე ფონზე მით უფრო დასაფასებელნი, გამოსარჩევი და დასაფასებელნი არიან ისინი, ვინც ხოტბის, გამორჩენის გარეშე პატიოსნად მუშაკობს იქ, საცა აზრთაგამრიგემ განაწესა.

ასეა: სადაც უნდა იყო, რასაც უნდა აკეთებდე, მოგკიდებს უხილავ ხელს შენი ანგელოზი და სწორედ იმ ადგილზე, იმ საქმეზე დაგაყენებს, რისთვისაც იშვი ამქვეყნად. ზოგი იშნოვებს ამ მადლს, სხვანი – ვერა და ედებიან ღობე-ყორეს, საკუთარი ჯიბის მიღმა არც არაფერი აინტერესებთ.

და ნუ ვედრებით ერის ჭეშმარიტად ზეპურ მამებს. მოღვაწე, მოღვაწეობა ძალზე ფართო და ტევადი ცნებებია. ყველა იმას გულისხმობს, ვინც ალალად ასრულებდა ღვთით დაკისრებულს და ოდითგანვე ასე რომ ყოფილიყო, ეგებ, აღარც დავითს დასჭირვებოდა აღმაშენებლობა, აღარც დემეტრეს – თავდადებულობა, აღარც გიორგის – ბრწყინვალება და აღარც ასიათასობით უსახელო უფლისციხელს სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირვა.

დასტურად „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ მოვიხმოთ: „მოღვაწეობა – საზოგადო, საქვეყნო საქმისათვის გაწეული შრომა, მუშაობა, მოქმედება“. ქვეყნისთვის კი ნებისმიერ ჩვენგანს ძალუძს ნებისმიერ ადგილზე იმუშაოს, ოღონდ, საამისო ნება ჰქონდეს

და თითო აგური მიიტანოს ქვეყნის აღმშენებლობის ბალავარზე. ყოველი შენობა ხომ ასე – აგურ-აგურ იგება. ამ „მცირეთა“ ყოველდღიური მუყაითი შრომა ხომ სწორედ ის მტკიცე საძირკველია, რაც მართლაც გამორჩეულთა მოღვაწეობის საძირკველია.

ოღონდ ეგაა, რაოდენ უხვადაც დააბერტყა უფალმა კალთა თვისი, რაოდენი ნიჭითაც მადლყო, იმდენადვე დაავალდებულა, ეს წყალობა ქვეყნის, ხალხისთვის მოეხმარა სახარებსეული უსასყიდლოდ მოგეცათ და უსასყიდლოდ გასცემდეთოს შესატყვისად.

რამდენად უხვად დააბერტყა კალთა თავისი უფალმა, რამდენად მადლყო ნიჭით დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემიის რექტორი, პროფესორი, ქალბატონი ნ ა ნ ა ჯ ი ქ ი ა და ოდენ თავის წილ რა მიაგო მან ამ მადლის საპასუხოდ ერსა და ქვეყანას?

წარმატებით დაამთავრა დედაუნივერსიტეტის ფილოლოგიისა და იურიდიული ფაკულტეტები; ორი სადისერტაციო ნაშრომისა და წიგნის ავტორია. 27 წლისა უკვე მეცნიერებათა კანდიდატი და დოცენტია. 1996 წლიდან განათლების სისტემაშია. ლექციებს კითხულობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; საბაზრო ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში; უნივერსიტეტ „რიტორიკასა“ და დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „აღმაშენებელში“.

მუშაობდა საბაზრო ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანად; სოფლის მეურნეობის სამინისტროს იურიდიული სამსახურის უფროსად; იყო დამოუკიდებელი უნივერსიტეტის – „აღმაშენებელის“ რექტორი.

ახლა ისა ვტქვათ, როგორ მუშაობდა: **არის ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი; ტაო-კლარჯეთის აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრი; განათლების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის წლის ლიდერი ქალის – „პერსონა 2016“-ის წოდება მიენიჭა; დაჯილდოებულია ტაო-კლარჯეთის მეცნიერებათა აკადემიის მეგობრობის ვარსკვლავითა და დროშით და – მედლით ქართულ-ებრაულ ურთიერთობებში შეტანილი წვლილისათვის.**

გამოიკვეთა: ქალბატონმა ნანამ მადლს განუხრელი შრომა და შემართება დაახვედრა და უსასყიდლოდ ბოძებული ასევე უსასყიდლოდ უხვად გასცა ქვეყნის სასიკეთოდ.

რა ჰქვია ამას თუ არა ოდენ ღვაწლი და მოღვაწეობა?

„ეს არის ქვეყნის წინაშე თქვენი ღვაწლის დაფასება;

ეს არის ქვეყნის ძნელბედობის ჟამს სამშობლოსთვის ერთად დგომის დიდი სურვილი;

ეს არის ჩვენი რწმენა „მოქმედების მანიფესტის“ სულისკვეთებისადმი თქვენი თანადგომისა.

ეს არის საქართველოსთვის თქვენი საბრძოლო განწყობის აღიარება და „მოქმედების მანიფესტით“ მათი შეკავშირება, ვინც გააცნობიერეს, რომ ქვეყანა, რომელიც ქრისტემდე და მის შემდგომ აღიარებდა ოჯახის, საკუთრებისა და სახელმწიფოს პრორიტეტებს, ქვეყანა, რომელიც ბიბლიური ფასეულობებით ცხოვრობდა, არ შეიძლება XXI საუკუნეში უარყოფდეს თავის ფასეულობებს და სხვისას აფეტიშებდეს“.

ქართული ერთობის დარბაზის სახელით: რეზო ჩხეიძე, ანზორ ერქომაიშვილი, გივი თოიძე, ტარიელ ხარხელაური, თემურ გუგუშვილი, ომარ მხეიძე, არნოლდ გეგეჭკორი, რომან რურუა, რამაზ ყურაშვილი“.

ეს ამონარიდია ქალბატონ ნანასათვის მინიჭებული **„პატივდების სიგელიდან“**.

ისტორიული ქარტეხილები – ომები, დევნა-ტყვევნა, გენოციდი, პარტახი მომდევნო ხანის მკვლევართათვისაა საინტერესო, თორემ მათთვის, ვის კისერზეც გადაიარა ამ საშინელებებმა, თავზარდამცემ რეალობად რჩება.

თაობები აღიზარდა ბნელში, ომებში, დევნილობაში. საქართველო, ალბათ, ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სწორედ ისინი არიან ლტოლვილები, იმათ მოუწყეს გენოციდი, ვისი სახელიც ჰქვია ქვეყანას.

გეგმაზომიერად, მიზანმიმართულად, გველაძუურად გვირყვნიდნენ და გვირყვნიან მორალსა და ზნეობას. ებრძვიან ყოველივე ეროვნულს. იმას, რითაც ერობს ყოველი ერი, რაც მხოლოდ მისია და რითაც განსხვავდება სხვათაგან.

ზემომოხმობილი ამონარიდი, რასაც მთელი ქართული ერთობის დარბაზის სახელით ისეთი პიროვნებები აწერენ ხელს, ვის ვინაობასაც არანაირი დამატებითი ინფორმაცია არა და არ სჭირდება, ქვეყნის აღნიშნული ძნელბედობის ჟამს სამშობლოსათვის ქალბატონი ნანას სიმტკიცის, თავდადების – აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ მძალმიძსო – პირუთვნელი დასტური და დიდი ააღიარებაა.

და ვიმეორებ: რა ჰქვია ამას, თუ არა ოდენ ღვაწლი და მოღვაწეობა?

ქალბატონი ნანა, უპირველესად, პედაგოგი, აღმზრდელია. ჭეშმარიტი პედაგოგობა კი სულიერი მდგომარეობაა, როცა გასიგრძეგანებული გაქვს უდიდესი მისია – სამშობლოსთვის მცოდნე, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი, პატრიოტი თაობების აღზრდა. ჭეშმარიტი პედაგოგობა ქვეყნის სასიკეთოდ მუდმივ მაძიებლობასაც გულისხმობს და ორიოდ შტრიხსაც მოვიშველიებ ქალბატონ ნანას პორტრეტის საგაზეთო წერილის კვალობაზე შესავსებად: **დავით აღმაშენებლის აკადემია, მისი რექტორის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ახორციელებს მაღალმთიანი რეგიონების ახალგაზრდების განათლება-განვითარების (ამ პროექტის ფარგლებში უფასოდ ასწავლიან ლენტეხის, მესტიისა და სხვა მაღალმთიანი რეგიონების წარმომადგენლებს), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების განათლება-განვითარებისა (უფასოდ ასწავლიან სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს) და მათი დისტანციურად სწავლების პროგრამებს, რაშიც თავად შშმ პირებიც არიან ჩართულნი.**

ვგონებ, კომენტარი ზედმეტია. არავინ მეგულება, ზემოთქმულის დიდი მადლის დაუნახავი.

ბიბლიით, სამშობლო იქედან დაიწყო, სადაც პირველი წინაპა-

რი დაიმარხა. ამ საფლავმა მიაჯაჭვა ადამიანი იმ ადგილს და დაცვად დააყუდა.

აი, იქიდან, დასაბამიდან მოყოლებული, ყოველი ადამის ძის ღვაწლი იმით ფასდება, თუ რა მიიტანა მან ქვეყნის სამსხვერპლოზე, რა არგო სამშობლოსა და მოყვასს.

ვგონებ, ცხადია, სახელდობრ რა და რაოდენ გაიღო უკვე ჯერეთ ახალგაზრდა ქალბატონმა მამულისა და ერისათვის.

კონსტანტინე გურგენიძე

„ეძებეთ და იპოვით; დააკაკუნეთ და გაგეღებათ“

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის შეუზღუდავი შესაძლებლობები

ჭეშმარიტად შეუცნობადია გზანი უფლისანი. არ ვუწყით, რატომ გვივლენს ყოვლადმოწყალე ამა თუ იმ განსაცდელს. ბიბლიაში ბევრი მაგალითია, როგორ ცდის უფალი თავის რჩეულთ. ალბათ, ვისაც მეტი მიეცა, მეტიც მოეთხოვება და კიდევ – როგორია რწმენა შენი? რამდენად ხარ მინდობილი ღვთის ნებაზე?

თუმცა, მინდობა გულზე ხელდაკრეფას სულაც არ ნიშნავს. პირიქით – უფლის ნებითა და რწმენით სიკეთის თესვით ვლიდე ცხოვრების გზაზეო. ესაა მინდობის არსი.

პლატონის ოთხი სათნოებიდან, რასაც მართლმადიდებლობა იზიარებს, ორი სიბრძნე და გულოვნებაა. სიბრძნე მაინცადამაინც ბრძენკაცობას არ ნიშნავს – სწავლის წყურვილი, სწავლის ძიებაა და გულოვნებაც მხოლოდ მტრის ვაჟკაცურად დახვედრით არ შემოიფარგლება. ყოველდღიურობაში სიძნელეებთან ბრძოლასა და მათს დაძლევას, საკუთარი თავის შეცნობასა და მოყვასის საკეთილდღეოდ შემართებასაც ნიშნავს. ესეც ვაჟკაცობაა და მერე – როგორი!

ცხოვრებისეული სამართლიანი აქტიურობისკენ მოგვიწოდებს უფალი და ამიტომაც გვმოძღვრავს: **„ითხოვეთ და მოგეცემათ; ეძებეთ და იპოვით; დააკაკუნეთ და გაგეღებათ“** (მათე. 21,22).

28 წლის თამაზ მჯავანაძესაც მოუვლინა განსაცდელი – იგი შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობის პირია, მაგრამ სწორედ რომ ეძია სწავლა, ვაჟკაცურად დაუხვდა და გადალახა განსაცდელი, ეძია და ჰპოვა, დაიმკვიდრა თავი ცხოვრებაში. მაგრამ, ცხადია, როცა აკაკუნებ, გამღებიც უნდა იყოს – ის, ვინც გვერდზე დაგიდგება, გაგიგებს და არა – შეგიცოდებს; დააფასებს შენს ნიჭს, მონდომებას, სწავლისა და სიკეთისკენ ლტოლვას. ასე იყო სკოლიდან მოყოლებული, ვიდრე დავით აღმაშენებლის აკადემიით დამთავრებული, მაგრამ თავიდან მოვყვეთ.

ბავშვობიდან დაისახა მიზნად – არავითარი შეღავათი საკუთარი თავის მიმართ. ამიტომ თქვა უარი შინ სწავლების პროგრამაზე და ბათუმის მე-9 საჯარო სკოლაში დაიწყო სწავლა, რაც – სკოლა ლიცეუმ „თაობა XXI“-ში განაგრძო (ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ოჯახს) სრულფასოვან მოსწავლედ, ვისგანაც ჩვეულებრივ მოითხოვდნენ სწავლას, დისციპლინასა და სკოლის ცხოვრებაში აქტიურობას. მოსწავლეთა თვითმმართველობის პრეზიდენტობაზეც იყარა კენჭი.

გავმეორდები: თამაზმა დააკაკუნა და სკოლის პედაგოგებმა ფართოდ გაუღეს სრულფასოვანი სასკოლის ცხოვრების კარი; დაინახეს და დააფასეს თამაზის ნიჭი და უნარი.

თამაზმა ქანი აიღო. თანდათან უფრო და უფრო რწმუნდებოდა თავის ძალებსა და შესაძლებლობებში, რასაც გარემომაც ძალზე შეუწყო ხელი და სწავლა წარმატებით განაგრძო შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სოციალურ მეცნიერებათა და იურიდიულ ფაკულტეტზე სამართლის მიმართულებით. ცხადია, ახალგაზრდა ბევრს ფიქრობდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეებზე, ცდილობდა გამოენახა ის გზები და საშუალებები, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათს აქტიურად, სრულფასოვნად ჩაბმას შეუწყობდა ხელს. ამიტომაც ადარებდა მისი სამაგისტრო ნაშრომი შშპ-თა უფლებრივ მდგომარეობას ადგილობრივსა და საერთაშორისო კანონმდებლობების.

თამაზი აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტურ ცხოვრებაში, მაგრამ მისთვის უპირველესი კვლავ და კვლავ სწავლის ძიება იყო და ამიტომ არ გამოჰკლებია არც ერთ სამეცნიერო კონფერენციას. რამდენიმე მისი შრომა გამოქვეყნდა კიდეც. უწყოდა ახალგაზრდამ – რაც მეტს ისწავლიდა, მით მეტად გამოადგებოდა ქვეყანასაც და თანამოძმეებსაც. ამა თუ იმ სახელმწიფოს ჰუმანურობას ხომ ხშირად შეზღუდული შესაძლებლობების პირთა მიმართ დამოკიდებულებითაც საზღვრავენ. უნივერსიტეტშიც გაუმარლდა: პროფესორ-მასწავლებელთა თანადგომამ და ხელშეწყობამ დიდად შეუწყო ხელი თამაზის თვითდამკვიდრებასა და მეცნიერულ ზრდას.

გამორიცხული იყო ასეთი ბუნების, შინაგანი არსისა და შემართების მქონეს პრაქტიკული ნაბიჯებიც არ გადაედგა შშმ–თა დასახმარებლად. ამიტომ, თანამოაზრე სტუდენტებთან ერთად, ჯერ კიდევ 2013 წელს დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია „შეზღუდული შესაძლებობების მქონე პირთა უფლებებისათვის“, რომლის ხელმძღვანელიც 2017 წლამდე იყო. ორგანიზაცია დღესაც მოქმედებს აჭარაში და ძალზე ბევრ შშმ-ეს დაეხმარა ფსიქოლოგიურად, მრავალი რეკომენდაციით მიმართა ხელისუფლების ორგანოებს, ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის პირის საზოგადოებაში ადაპტირებას შეუწყო ხელი, ანუ ცხოვრების საგზურები უბოძა, დაამკვიდრა საზოგადოებაში.

როდესაც ნიჭს მონდომება, მიზანდასახულობა უმაგრებს მხარს, ადამიანის შესაძლებლობები უკიდეგანოდ ფართოვდება. თამაზმა დეტექტური ნოველების წერა დაიწყო. საიდან-სადაო? ალბათ, იკითხავს მავანი: სად – შშმ და სად – დეტექტივიო, მაგრამ ჯერ რომ მისი ნოველების: „მარინა“, „წარსულიდან – მომავლისაკენ“, „გოგონა მოჰიტოთი“ და „სიმართლის მცველების“ პერსონაჟები შშმ პირები არიან და მწერლობა მათი გულისტკივილის გამოხატვის დიდებული საშუალებაა და კიდევ, უმთავრესი: პირადად აღქმულ-განცდილი, პირადი მაგალითი ცხოვლად აჩნდება სულსა და გულს. მისი გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია. და, აგერ, თამაზი. შეზღუდული შესაძლებობებისაა? აბა, დამანახეთ სადაა, რაშია გამოხატული ეს „შეზღუდულობა“? ყმაწვილმა კაცამ უკვე რამდენი შეძლო (ქვემოთ ამას კიდევ ბევრი დაემატება) და მან თუ შეძლო, მეც შევძლებ, უნდა შევძლო! თუ თამაზივით მოვინდომებ, მძალმიძს! მისი რედაქტორობით გამოიცა შშ პირთა და მათივე დასურათხატებული ლექსების კრებული „ახალგაზრდული ფიქრები“. ღირს კი ჩაღრმავება, რაოდენ ცხოვრებისეული სტიმულია ავტორებისათვის თვითგამოხატვის ასეთი საშუალება?

თამაზ მჟავანაძე ამჟამად კოლეჯ „ახალი ტალღის“ პედაგოგია და, ამავდროულად, დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემიის საპატიო პროფესორი (უფლებამოსილი პირი აჭარაში), ტაო-კლარჯეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი და ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრია. გავიხსენოთ – თამაზი მხოლოდ 28 წლისაა!

ზემოთ აღვნიშნე, „დამკაკუნებელს“ „გამღები“ უნდა დახვდეს-მეთქი. სწორედ ასეთი გახლავთ დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემიის რექტორი, პროფესორი ქალბატონი **ნანა ჯიქია**, რომლის გულისხმიერებამ და პიროვნების ნიჭის, შემართების დანახვისა და დაფასების უნარმა მრავალთაგან ეს ობიექტური, დამსახურებული ზემოთნახსენები სიკეთეც მომადლა თამაზს. და ეს მხოლოდ ტიტულატურა როდია. თამაზი, აკადემიის უფლებამოსილი პირი, ქალბატონ ნანას გადაწყვეტილებით, დინსტაციურ სწავლებას უწევს კოორდინირებას აჭარაში. თამაზის თქმით, აკადემია, მისი რექტორი, უდიდესი ღვთის სათნო საქმეს აკეთებენ, როცა შშმ პირებს განათლების დისტანციურად მიღების საშუალებას აძლევენს. თან, როცა პედაგოგი შშმ-ვე პირია. რამდენ გადაადგილების უნარს მოკლებულ ან შეზღუდულ პირს მიეცა განათლების მიღების, მისი პრაქტიკულად გამოყენების, ცხოვრებაში დამკვიდრების შესაძლებლობა. განა, შესაძლებელია ამ მადლის გადაჭარბებით შეფასება? პროექტი აქტიურად ხორციელდება ქობულეთში კოლეჯ „ახალი ტალღის“ ბაზაზე. ახლახან გაფორმდა ხელშეკრულება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტთან და ამ რაიონის შშმ პირებსაც მიეცემათ განათლების დისტანციურად მიღების საშუალება. იგეგმება სხვა მუნიციპალიტეტების ჩართულობა ამ ღვთისნიერ საქმეში.

თამაზ მჟავანაძე განაგრძობს აქტიურ მეცნიერულ და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვებაც სურს და, რაკი სურს, მიაღწევს კიდეც, რადგან ამ შშმ პირს ჭეშმარიტად შეუზღუდავი შესაძლებლობები აქვს და მისი პირადი მაგალითი, ვიმეორებ, უდიდესი, წყალგაუვალი დასტურია ნებისმიერი შშმ პირისთვის, ვისი შესაძლებლობებიც, თუ მოინდომა, ისწავლა, მიზანმიმართულად ვლო, ასევე შეუზღუდავი იქნება.

კონსტანტინე გურგენიძე

თამაზ მჟავანაძის მასტერკლასი

შშმ პირი

შშმ პირებისთვის

დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემია

სკოლა-ლიცეუმი სანიმუშოა

მილწევებით ამაყობენ

„სანთელი გაგინათებთ გზას მომავლისკენ“- ასეთი წარწერა ამშვენებს სკოლა-ლიცეუმი „სანთელი“-ს ფოიეს, რომელიც თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ორხევის დასახლებაში მდებარეობს. პერიფერიული მდებარეობის მიუხედავად, აქ ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ხარისხიანი განათლება მიიღონ და თავი უსაფრთხოდ იგრძნონ. **„სანთელი“** უკვე, 25 წელიწადია, ღირსეულულად უძღვება მომავალი თაობის აღზრდას. სკოლა 1996 წელს დააარსა ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა **ვასილ ჯანიაშვილმა,** რომელიც დღემდე ხელმძღვანელობს მას. ბატონი ვასილი 46 წელიწადია პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა და წლების მანძილზე, განათლების სფეროში სხვადასხვა თანამდებობზე მუშაობდა.

სკოლა-ლიცეუმის წარმატების საწინდარი მოსწავლეთა მცირე რაოდენობაა. აქ კლასში საშუალო კონტინგენტი 10 ბავშვია, ხოლო მაწავლებელთა შერჩევა ხდება კონკურსის წესით. აქ ეკოლოგიურად ჯანსაღი ატმოსფერო და სიმყუდროვეა. ბოლო ერთი წლის მანძილზე, ,,სანთელი'' კიდევ უფრო დამშვენებულა და გალამაზებულა. სკოლას ამშვენებს მოწესრიგებული და მოპირკეთებული ეზო, რომელიც შემოღობილია კაპიტალური, მაღალი ბეტონის ფილებით. აქვეა, ღია სპორტული მოედნები: კალათბურთის, ფეხბურთის, ტენისის სათამაშო მაგიდა, დიდი დარბაზი, სადაც განთავსებულია შვედური საგარჯიშო კედელი (რომელიც სქოლიოზის საწინააღმდეგოდ

გამოიყენება), კრივის და ჭადრაკის აქსესუარები, მცოცავი ბაგირი და სხვა. უსაფრთხო გარემოა და სკოლის ტერიტორია (შიდა და გარე პერიმეტრი) კონტროლდება ვიდეო-კამერებით... რაც შეეხება შენობას, იგი ორსართულიანია და კეთილმოწყობილი, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა, ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია სხვადასხვა ლიტერატურით, კომპიუტერითა და ინტერნეტით. აქ ყველანაირი პირობაა ინკლუზიური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. მართალია, კერძო დანესებულებაა, მაგრამ სკოლა განათლების და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი სასწავლო გეგმის მიხედვით ფუნქციონირებს. სკოლას მჭიდრო ურთიერთობა აქვს ახლო მდებარე საწარმოებთან. ეამაყებათ, რომ მე-10 კლასის მოსწავლემ **ირაკლი წიკლაურმა** სამენარმეო უნარ-ჩვევების საერთაშორისო სერთიფიკატი მოიპოვა.

ვასილ ჯანიაშვილი: - ამჟამად, სკოლაში სულ 90 მოსწავლეა. ჩვენმა სკოლამ ცხოვრების საგზური მისცა ათეულობით ახალგაზრდას, რომლებიც წარმატებით არიან ჩაბმულნი სხვადასხვა სფეროში. სკოლის მისია და მიზანია: შედეგზე ორიენტირებული, მაღალი აკადემიური მოწრების მქონე მოსწავლეთა აღზრდა. ამ საკითხის წარმატებით განხორციელებას განაპირობებს შემდეგი ობიექტური ფაქტორები: კლასებში მოსწავლეთა მცირე (8-10) რაოდენობა, კონკურსის წესით შერჩეული, მაღალკვალიფიციური პედაგოგები; დირექციის მხრიდან სასწავლო პროცესის სისტემატური და შინაარსიანი მონიტორინგი; საგნობრივი კათედრის ეფექტური მუშაობა; მოსწავლეებთან და მშობლებთან საქმიანი ურთიერთთანამშრომლობა და ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა... სკოლას ემსახურება კვალიფიციური ფსიქოლოგი და სასწავლო ნაწილის გამგე **დალი ჯანიაშვილი.** სხვადასხვა საგნობრივ ოლიმპიადაში გამარჯვებულები, კონტინგენტის 50 პროცენტს შეადგენს. მოსწავლეები სკოლაშივე ამზადებენ გაკვეთილებს, სხვადასხვა წრეების და გახანგრძლივებული ჯგუფის

ხარჯზე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციის მიხედვით, სკოლა ახლო კავშირშია საწარმოებთან. ყოველწლიურად ვაწყობთ გასვლით ღონისძიებებს და მაღალი კლასის მოსწავლეებს ვაცნობთ სხვადასხვა საწარმოების საქმიანობას. აგრეთვე, სკოლას სისტემატური ურთიერთობა და ურთიერთთანამშრომლობა აქვს დედაუნივერსიტეტთან, რომლის ცნობილი მეცნიერები წინასწარ შექმნილი გეგმის მიხედვით **(„უნივერსიტეტი სკოლას'')** პოპულარულ ენაზე კითხულობენ ლექციებს მოსწავლეებთან. ჩვენი პედაგოგები ჩართულები არიან პროფესიული და კარიერული წინსვლის სქემაში, ესენია: **ლიანა კუხალაშვილი, მარინა ნადარაია, მადონა ბარამია, თინათინ დუშაშვილი, მარი მღებრიშვილი, თინათინ ხურცილავა, ანა წურწუმია, მადონა ფანჯარაშვილი, მეგი ტაბატაძე, მარიამ ზაქაიძე, ნანი ივანიშვილი.** ჩვენი წარმატებული პედაგოგები არიან: ქართული ენისა და ლიტერატურის **მადონა ბარამია** და დაწყებითების კათედრის: **ხათუნა მძელური, ნანი ივანიშვილი, თინათინ ჩხიკვაძე** და **მადონა ფანჯარაშვილი.**

სკოლის ხელმძღვანელობას ერთი მოკრძალებული თხოვნა აქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, **კერძო სკოლების** (თუნდაც, მცირე კონტიგენტისთვის) **მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსება გაუტოლდეს საჯარო სკოლის მოსწავლეთა დაფინანსებას, ასევე, კერძო სკოლების პედაგოგები სარგებლობდნენ სამგზავრო შეღავათებით.**

სკოლის დირექცია იმედოვნებს, რომ სამინისტრო გადახედავს აღნიშნულ საკითხს და მათ მოთხოვნას დადებითად გადაწყვეტს.

მზია გოგოძე

აი, ჩართულობა და აქტივობები!

კლუბი „არჩევანი“ წარმატებულია

არსებული გამოწვევების წარმართვის მიზნით თბილისის 177-ე საჯარო სკოლაში დირექტორი **გელა ოდიშელიძე** და პედაგოგიური კოლექტივი გუნდურობითა და ურთიერთშეთანხმებით წარმატებულ სასწავლო გარემოს ქმნიან. ამჟამად სკოლაში 1000-მდე მოსწავლეა. შემოქმედი დირექტორის ძალისხმევით უკვე წლებია მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, დამყარდა წესრიგი და პროფესიონალ პედაგოგთა გუნდი, რომელთაგან უმეტესობა უფროსი მასწავლებლის სტატუსითაა, ყველაფერს აკეთებს ხარისხიანი განათლებისთვის.

სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, სადაც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამა ხორციელდება: დაწყებითი

საფეხურის კათედრა (ხელმძღვანელი **სოფიო ფერაძე**). პედაგოგებმა **– ნინო მოსიაშვილმა, ნინო ონაშვილმა, ნუნუ ბერიძემ, ჟუჟუნა მნათობიშვილმა** და **თინათინ აფციაურმა** დააარსეს მხატვრული კითხვისა და მათემატიკის წრეები. წლის მანძილზე ყველა აქტივობას შესაბამისი ღონისძიებებით პასუხობენ პედაგოგები – **ნელი ლანჩავაშვილი, ელენა ლინნიკ, მაია მახარაძე, ანანა სივსივაძე, ნანა ბაიაშვილი, დარეჯან ულუმბელაშვილი, ლია ღაჭავა, ცეზარ კორტი, მარიამ პაპუაშვილი, ია მღებრიშვილი**.

ეფექტურად ფუნქციონირებს ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა (ხელმძღვანელი **იზოლდა ჩიტაძე**), სადაც პედაგოგები: **ხათუნა ჯუღელი, გვანცა გოგალაძე, მანანა სიხარულიშვილი, თამარ ნადიბაიძე** – მოსწავლეებს ჩვენი გამოჩენილი მწერლებისა და პოეტების მხატვრულ სამყაროში ამოგზაურებენ.

საგაკვეთილო პროცესს სწორად წარმართავენ მათემატიკის კათედრაზე (ხელმძღვანელი **მაკა ჩხაიძე-აბაიშვილი**) პედაგოგები – **ინგა მოსიაშვილი, მანანა ლობჟანიძე, სვეტლანა არხიპოვა, ლარისა ქავთარაძე**.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესახებ მოსწავლეებს საინტერესო ცნობებს აწვდიან პედაგოგები: კათედრის ხელმძღვანელი **ლელა ჩოხელი** (ქიმია), **ანჟელიკა მაისურაძე** (ბიოლოგია), **აზა მაისურაძე** (ბიოლოგია), **ინგა ნავდარაშვილი** (ფიზიკა).

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე (ხელმძღვანელი **ნინო ჯეირანაშვილი**) პედაგოგები – **შორენა უსენაშვილი** (გეოგრაფია), **ანა ქასოშვილი** (ისტორია), **რუსუდან ფიცხელაური** (ისტორია) – მოსწავლეებს პრეზენტაციისა და სხვა საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში ეხმარებიან.

განსაკუთრებული წარმატებებით გამოირჩევა უცხო ენათა კათედრა (ხელმძღვანელი **სოფიო სამხარაძე**); რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის **მარინე ბრეუსოვას** მოსწავლეები – **ნინა ავდალიანი** და **ნინა მალჩევსკი** ოლიმპიადაში გამარჯვებისთვის 700 ლარიანი პრიზით დაჯილდოვდნენ. ოლიმპიადებში წარმატებებით გამოირჩევიან აგრეთვე ინგლისური ენის პედაგოგების – **ნანული ვაშაკიძის, შორენა ბურჭულაძის, ნინო ჩინჩალაძისა** და **თამარ მიგრიაულის** – მოსწავლეები.

სკოლაში სისტემატურად ხორციელდება მონიტორინგი, გაკვეთილებზე დასწრება და სწავლების ხარისხის შეფასება. ამ ყველაფერს დირექტორთან ერთად წარმატებულად უძღვება დირექტორის მოადგილე **ინგა მოსიაშვილი**.

საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სიახლეების დანერგვაზე ზრუნავს თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტი, ისტ მასწავლებელი **ია ჯეირანაშვილი**.

მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სპორტულ, მუსიკალურ, საგამოფენო და სხვა ღონისძიებებში, რომლებსაც წარმართავენ პედაგოგები: **ანა შავლოხაშვილი** (მუსიკა), **ლალი კილასონია** (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება), **ნელი ლავრელაშვილი** და **ვლადიმერ ანთიძე** (სპორტი).

ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა ევალებათ ფსიქოლოგ **მარიამ რაზმაძესა** და სპეც. პედაგოგებს – **ფიქრია ჭანკვეტაძეს** და **ანა კვიჟინაძეს**.

ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნისა და მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით, **გელა ოდიშელიძის** ხელმძღვანელობით სკოლაში შეიქმნა სამოქალაქო განათლების კლუბი „არჩევანი“, რომლის ინიციატივით არაერთი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა. 7 მარტს სკოლის თეატრალურ დარბაზში მოეწყო ფილმის **„ექვთიმე ღვთისკაცის“** ჩვენება, რომელსაც ესწრებოდა ფილმის რეჟისორი **ნიკოლოზ ხომასურიძე** და მთავარი როლის – **ექვთიმე თაყაიშვილის** მეუღლის, ნინოს – შემსრულებელი **ანა წერეთელი**. ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია. ამავე კლუბის ინიციატივით, ეზოში დამონტაჟდა სკამები, დაიდგა სანაგვე ურნები; მოეწყო ძალიან საინტერესო აქცია, სკოლაში გამოჩნდა მწვანე ურნები მაკულატურისთვის, რომელიც „პალიტრა L-თან“ შეთანხმებით, სკოლის ბიბლიოთეკისათვის წიგნებზე გადაიცვლება.

სკოლის ცხოვრებაში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა მოსწავლეთა თვითმმართველობა (თავმჯდომარე **ნუგო გოგრიჭიანი**). ხშირად იმართება ტრენინგები მოსწავლეთათვის და სხვადასხვა სასწავლო კურსი. მაგალითად, 44 საათიანი ტრენინგ-კურსი **„კერვა და მხატვრული გაფორმება“** და **„ინფორმაციის ტექნოლოგია“**. აღნიშნულ კურსს სკოლაში ატარებდა საზოგადოებრივი კოლეჯი **„გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“**, რომლის დასკვნით გაკვეთილს ესწრებოდა ცენტრის დირექტორი **ნოდარ ხარაზიშვილი**. საუბარი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. გოგონებმა და ინფორმაციის ტექნოლოგიის მსმენელებმა წარმოადგინეს საკუთარი პრეზენტაციები და ნამუშევრები; დანაშაულის პრევენციის ცენტრმა მესამე კლასელთათვის ჩაატარა ტრენინგი თემაზე **„შეზღუდული შესაძლებლობა“**.

მე-5-6 კლასის მოსწავლეებს შორის გაიმართა გუნდური ინტელექტუალური თამაშის – **„ტვინების ბრძოლა“** — გაზაფხულის სეზონი; გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებით, მოსწავლეებმა სკოლის ეზოში ხეხილის ნერგები დარგეს; ჩატარდა ღონისძიება **„მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“** და სხვა.

მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში, სასწავლო ოლიმპიადებში, ტარდება ღია და ინტეგრირებული გაკვეთილები, აქტიურად არიან ჩართულები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სასწავლო ოლიმპიადებსა და აქტივობებში. ხარისხიანი განათლებისა და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად აქ ყველა პირობა იქმნება.

ნათია გუგუნავა

ლიტერატურული ღონისძიება 106-ე სკოლაში

შემოქმედებითმა საღამომ სტუმარი აღაფრთოვანა

„მე დავიბადე შენამდეც შენთვის, მე - ჰაერივით შენით უძღები“

- ამ სტრიქონების ავტორია საოცრად ნაზი და სათნო ქალბატონი **ბელა ალანია,** რომლსაც კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება, როგორც ნიჭიერ შემოქმედს, კარგ დედასა და მეუღლეს. ქალბატონი ბელას ლექსები და მოთხრობები, სოციალურ ქსელში საკმაოდ მოწონებით სარგებლობს, რამაც პოეტს დიდი პოპულარობა მოუტანა. მისი პოეზია ისეთივე გულწრფელია, როგორც თავად ავტორი. ლექსებში იგრძნობა ადამიანური სევდა, ტკივილი, სიყვარული, ჰუმანურობა და სამყაროს მიმართ ერთგულება. პროზაული ნაწარმოებები კი, ძირითადად, საკუთარ განცდებთან, ემოციებთან არის დაკავშირებული, მკითხველს დახვეწილი სტილით და მანერით იზიდავს.

ახლახან, თბილისის 106-ე საჯარო სკოლაში ლიტერატურულ კლუბ **„ბუხარი''**-ს ინიციატივით **ბელა ალანიას** შემოქმედებითი საღამო გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ მოსწავლეები, პედაგოგები, მშობლები, სკოლის დირექტორი **თენგიზ გულორდავა,** მოადგილე **ნაზი სეთურიძე** და სხვები.

- მე დღეს ვხვდები საქართველოს მომავალს, ამით ბედნიერი ვარ და შევეცდები ბავშვებს ჩემი შემოქმედება უფრო ახლოს გავაცნო! -ამ სიტყვებით დაიწყო შეხვედრა პოეტმა **ბელა ალანიამ**. პოეზიის და ლიტერატურის მოყვარულებმა ახლოს გაიცნეს ნიჭიერი შემოქმედი და გულდასმით მოისმინეს მისი შემოქმედება, მიიღეს მისგან საჭირო რჩევა-დარიგება და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

საღამოზე მოსწავლეებმა წარმოადგინეს თეატრალიზებული წარმოდგენა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია, წაიკითხეს პოეტის ლექსები, იმღერეს, იცეკვეს და შემდეგ კითხვებით მიმართეს ავტორს. მოსწავლეებმა სტუმრის აღფრთოვანება და მოწონება დაიმსახურეს. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ **: ნინო მესროფაშვილი, ნაზი კაველიძე, ანასტასია სიჩევსკი, დავით ჯანიაშვილი, დავით გაბუნია, ქეთი ცუცქირიძე, მარიამ გიორგაშვილი, ავთო ლეკიშვილი. ანა ხახანაშვილი. თამრ ქიმაძე, ბადრი მესხი, გიორგი ბერიშვილი. საბა ბერიშვილი. რამაზ რაზმაძე, ნია შედანია. მარიამ ჩინჩალაძე, ხატია არველაძე, ეკატერინე მესროფაშვილი, საბა ცინცაძე, გიორგი თიბილაშვილი, ნინი მეგენეიშვილი. ნუცა**

მაჭარაშვილი, ნორჩი მომღერალი, შეუდარებელი - სალომე ხუჯაძე.

106-ე სკოლაში მაღალკვალიფიციური პედაგოგების თაოსნობით ხშირად იმართება შემოქმედებითი ღონისძიებები. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მაღალ დონეზეა და სკოლის რეიტინგიც ყოველწლიურად იზრდება. მოსწავლეების მიღწევები თვალსაჩინოა, რადგან სხვადასხვა ოლიმპიადებიდან სიგელებით და დიპლომებით ხელდამშვენებულები ბრუნდებიან. სკოლის დირექტორი **თენგიზ გულორდავა** გამოცდილი მენეჯერი და წარმატებული ხელმძღვანელია, რომელმაც სკოლა ააღორძინა და მაღალ სტანდარტებზე აიყვანა. ბატონი თენგიზი ამაყობს სკოლის მოსწავლეების წარმატებებით, პედკოლეტქივის თავდაუზოგავი მუშაობით.

სკოლაში, დიდი ხანია არსებობს ლიტერატურული კლუბი **„ბუხარი“,** რომლის მიზანია მოზარდებში, სხვადასხვა უნარ- ჩვევების განვითარება და ჩამოყალიბება. კლუბის ხელმძღვანელია, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდილი მასწავლებელი **ლია ზურაბიშვილი.** ქალბატონი ლიას ინიციატივით სკოლაში არაერთი ღონისძიება გაიმართა. იგი მუდამ ცდილობს მოსწავლეებს შემოქმედებითი უნარები განუვითაროს, ლიტერატურა და პოეზია შეაყვაროს.

ლია ზურაბიშვილი: ლიტერატურულმა კლუბმა არ უღალატა თავის ტრადიციას და დამსწრე საზოგადოებას შესანიშნავი შემოქმედებითი საღამო შესთავაზა, მოვიწვიეთ მშვენიერი პოეტი და მწერალი **ბელა ალანია.** პოეტმა და ლიტერატურული კლუბის წევრებმა, საოცრად ლამაზი საღამო გვაჩუქეს. იყო რიტმი, იმპულსი, ემოცია... ქალბატონი ბელას დარბაზში შემოსვლამ ფერადი ბუშტებით, დიდი სითბო და სიყვარული შემოიტანა, რაც გამოიხატა იქ მყოფ მსმენელთა და მოსწავლეთა ანთებულ თვალებში. შემოქმედებითმა საღამომ დიდი მოწონება დაიმსახურა. არავის დაავიწყდება ქალბატონ ბელა ალანიას სიხარულის ცრემლი. კლუბის მიერ ჩატარებული ღონისძიებებიდან გამოვყოფდი: **„წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეს“,** სადაც მოწვეული იყო **შორენა ლებანიძე.** მწერალი მოიხიბლა ბავშვების ინტელექტით და მოსწავლეები მიიწვია წიგნის **„პენელოპე, მგზავრის“** პრეზენტაციაზე. მოსწავლეები იყვნენ აგრეთვე მწერალთა კავშირში, სადაც შეხვდნენ საყვარელ მწერლებს: **ლაშა ბუღაძეს** და **ზვიად კვარაცხელიას**, მათგან მოისმინეს საინტერესო ლექცია ლიტერატურასთან დაკავშირებით. კლუბის მუშაობაში ხელს გვიწყობენ სკოლის დირექტორი ბატონი **თენგიზ გულორდავა,** დირექტორის მოადგილეები **ნაზი სეთურიძე** და **ცირა ბახტაძე,** ასევე, მასწავლებლები **მარი მაჭარაშვილი, ნათია გოგნიაშვილი** და მთელი პედკოლექტივი.

ღონისძიებაზე, სკოლის დირექტორმა **თენგიზ გულორდავამ** მადლობა გადაუხადა **ბელა ალანიას** სტუმრობისთვის და მაღალ დონეზე შეაფასა მოსწავლეების შემოქმედება, რომლებმაც საღამო გაალამაზეს და სტუმრის აღფრთოვანება გამოიწვიეს.

მზია გოგოძე

ბიბლიოთეკა - სწავლა-აღზრდის სამსახურში

თანამედროვე ევროპული ღირებულებები – ახალი გზა თუ დაბრუნება ფესვებთან

„მწერლები ევროპული ღირებულებებისთვის“ — პროექტის ფარგლებში, ცნობილი ქართველი მწერალი, **დათო ტურაშვილი,** თბილისის 149-ე საჯარო სკოლას ესტუმრა. 25 მარტი **ვფიქრობ,**

სკოლის ისტორიაში, ერთ-ერთ დასამახსოვრებელ დღედ იქცა. ჩვენი სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის ემოციური გამოდგა იმ მწერალთან შეხვედრა, რომლის შემოქმედებასაც ხშირად ეცნობიან, განიხილავენ, უყვარდებათ და თანაუგრძნობენ ნაწარმოებების თავისუფლებისთვის მებრძოლ გმირებს.

საუბარი ბევრ რამეს შეეხო, მონოლოგი დიალოგმა ჩაანაცვლა და ბევრი საინტერესო მოსაზრებაც გამოითქვა. XI კლასის მოსწავლემ **ანანო შუბლაძემ** საინტერესო შეკითხვები დასვა, საინტერესო იყო მისთვის, რა აზრის იყო ბატონი დავითი თანამედროვე ლიტერატურაზე, რაზედაც მათთვის დასამახსოვრებელი პასუხები მიიღეს. მწერლობა ძალიან ინდივიდუალურია, მაგალითად **„ვეფხისტყაოსანი“** ძველ მწერლობას მიეკუთვნება, მაგრამ იგი ყოველ ჯერზე წაკითხვისას უამრავ სიახლეს აღმოაჩენს ხოლმე. მწერლის მთავარი სათქმელი მაინც ჩვენი ქვეყნის ევროპული ორიენტაცია და ამ ორიენტაციის ღრმა ფესვები აღმოჩნდა. ფესვები, რომელსაც ისე ვერაფერი წარმოაჩენს, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის ჩვენთვის საამაყო ძეგლები. X კლასის მოსწავლემ **ქეთევან თანდაშვილმა** კითხვა ძველი მწერლობიდან კერძოდ **„შუშანიკის წამებიდან“** შუშანიკის პერსონაჟზე რა აზრის იყო, მწერალმა აღნიშნა, ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში გვყოლია თანასწორობის პრინციპებისთვის მებრძოლი ქალი, შუშანიკი, რომელიც შორეული წარსულიდან გვახსენებს, რომ ქრისტიანობა ტოლერანტული რელიგიაა და მისთვის **გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია მიუღებელია: „განვისაჯნეთ მე და ვარსქენ პიტიახში მუნ, ... სადა არა არს რჩევაჲ მამაკაცისა და დედაკაცისაჲ, სადა მე და მან [ვარსქენმა] სწორი სიტყუაჲ ვთქუათ წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა“.**

მწერალმა ასევე შეახსენა ახალგაზრდებს, რომ **შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ თანამედროვე ევროპული ღირებულებების ნამდვილი საბადოა,** რომ სკოლამ ყველაფერი უნდა გააკეთოს და რომ გენიალური ძეგლიდან სწორედ ასეთ ღირებულ მარგალიტებზე გაუმახვილოს ყურადღება ახალ თაობას, ახლებურად დაანახოს გენიოსი პოეტის სათქმელი. მასწავლებლის როლი და დამსახურება ამ საქმეში კი, განუზომლად შეაფასა.

ჩვენი ცივილიზაცია არა მხოლოდ ემყარება ევროპულს, არამედ დგას ევროპული ცივილიზაციის სათავეებთან და, გარკვეულწილად, მის შექმნაში იღებს მონაწილეობას. ევროპული გზიდან გადახვევის მიზეზი კი, ჯერ რუსეთის იმპერია, მოგვიანებით, მის ნანგრევებზე აღმოცენებული საბჭოთა კავშირი გახდა.

მწერალმა მოუწოდა ახალგაზრდებს, ბევრი იკითხონ, შეიყვარონ წიგნები და ასე აღმოაჩენენ, რომ ევროპული ღირებულებები არა რაიმე ახალი გზა, არამედ, ჩვენს ფესვებთან დაბრუნებაა. ეს ის ფესვებია, რომელზეც ძველი ქართული კულტურა მეტყველებს. მწერლის აზრით, ყველაზე მარტივი იმ საზოგადოების დამონებაა, რომელსაც თაროზე ბევრი გადაუშლელი წიგნი აქვს. თავისუფლებისა და მშვიდობის გზა კი, მისი აზრით, განათლებაზე გადის.

შეხვედრის ბოლოს, მწერალმა სკოლის ბიბლიოთეკას უსახსოვრა არქიმანდრიტ ელისეს (წერეთლის) **„კეთილმსახურების ჭეშმარიტება“ da NATIONAL GEOGRAPHIC GEORGIA**-ს ჟურნალების სერია. თავად ავტორს საჩუქრად გადაეცა სპექტაკლ **„ჯინსების თაობის“** ვიდეოჩანაწერი. სპექტაკლი, **დათო ტურაშვილის** ამავე სახელწოდების რომანის მიხევდით, 149-ე სკოლის მოსწავლეებმა, რამდენიმე წლის წინათ დადგეს.

გვსურს, 149-ე სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომლების სახელით, მადლობა გადავუხადოთ ევროპის ფონდს, საინტერესო და აუცილებელი პროექტისათვის; მწერალ **დათო ტურაშვილს** ასეთი უშუალო, თბილი და შემეცნებითი შეხვედრისათვის. ასევე, მადლობა 149-ე საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ **ნანა ჯუღელსა** და შეხვედრის ორგანიზატორებს, სკოლის ასეთი აქტიური და საინტერესო პოლიტიკისათვის.

მანანა ხოშტარია,
სკოლის ბიბლიოთეკარი

მადლი და მადლიერება

კონცერტი დამთავრდა, ურთიერთობები გრძელდება

მაცხოვარი, მოწაფეებითურთ, გზად ძაღლის გახრწნილ ლეშს წასწყდომია. მომავალ მოციქულებს ზიზღით უბრუნებიათ პირი. შეხედეთ, მძორისკენ მიუხედებია ისინი უფალს, რა მშვენიერი კბილები ჰქონია ამ ცხოველსო.

ანუ, ყველგან და ყველაფერშია სიკეთისა და მშვენიერების მარცვალი. მისი დანახვის, გამორჩევისა და დაფასების უნარი უნდა შეგწევდეს, რათა ჯერ ჩვენს თვალში დავინახოთ დირე...

დიდი მადლია, თუ მოყვასის სიკეთის დანახვისა და დაფასების უნარი შეგწევს. ამას სხვაგვარად მადლიერება ჰქვია. უმადურობა კი დიდი ცოდვაა კაცისა და ღვთის წინაშე.

ხდება ასე: კვლავ და კვლავ კითხულობ დიდი მწერლის თხზულებებს; კვლავ და კვლავ თვალებად ქცეული ტკბები ზღაპრული ფერწერული ტილოთი; კვლავ და კვლავ სულგანაბული უსმენ კლასიკური მუსიკის ერთსა და იგივე შედევრს და ყოველ წაკითხვაზე, ყოველ შეხედვაზე, ყოველ მოსმენაზე ცალკერძ – ბატონ გურამ დოჩანაშვილს დავესესხები – უფრო უკეთესი ხდები, სულიერად მაღლდები, ცალკერძ კი ახალ-ახალ შრეებს, სიბრძნეს, აზრს სწვდები.

ეგებ, მთლად შესატყვისი პარალელი არ იყოს, მაგრამ ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის ხელოვნების მე-19 სკოლისკენ ყოველი „შებრუნებისას“ ბავშვებისათვის გაწეულ იმდენ ახალ სიკეთეს მოითვლი, გული სიამით გევსება. სიამითვე გევსება გული, როცა ასეთ დიდებულ სიახლეს იხილავ – სამადლობელ კონცერტს და ეს სიტყვა ხომ სწორედ მადლისაგან მოდის.

დავაკონკრეტოთ: კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში, მერიის ხელშეწყობით, გაიმართა ხელოვნების მე-19 სკოლის – გაერთიანებული და გოგონათა ორკესტრების კონცერტი. იგი სკოლის დაარსებიდან მე-60 წლისთავსა და დიდი მაესტროს, ბატონ ოთარ თაქთაქიშვილის – ვის სახელსაც, როგორც აღვნიშნეთ, ატარებს სკოლა – დაბადებიდან – 95-ე და გარდაცვალებიდან 30-ე წლისთავებს მიეძღვნა.

ეს ხომ თავისთავად დიდებულია, მაგრამ კიდევ უფრო დასანახი და დასაფასებელია ის, რაც ამ მშვენიერ კონცერტს ლაიტმოტივად გასდევდა – უდიდესი მადლიერება ყველას მიმართ, ვინც ამოსდგომია და ახლაც გვერდში უდგას ხელოვნების მე-19 სკოლას, ვისაც სულ მცირე წვლილი მაინც მიუძღვის იმაში, რომ ასეთი ორკესტრები გვაქვს. დიახ, გვაქვს და არა მხოლოდ სკოლას აქვს, რადგან ეს ბავშვები ჩვენი, საქართველოს მომავალი, ამომავალი ვარსკვლავები არიან და, თუ უპატრონეს, ესენი შეავსებენ რა გინდა რა დონის

ორკესტრებს; აღარ დაგვჭირდება უცხოელ მუსიკოსთა მოწვევა, ვისაც დიდძალ ანაზღაურებას უხდის სახელმწიფო ჩვენი ჯიბეებიდან ამორთმეული გადასახადების ხარჯზე.

სკოლის დირექტორმა, ღირსების ორდენის კავალერმა, ვისაც მერიამ „თბილისსა და თბილისელებზე მზრუნველის“ სტატუსი მიანიჭა, მუსიკასა და ბავშვებზე უზომოდ შეყვარებულმა ხელოვანმა ბატონმა **თამაზ მოლაშვილმა** ისე მოხდენილად, თავმდაბლად, ღირსი მადლიერებით გახსნა კონცერტი და ნომრებს შორისაც განაგრძობდა სამადლობლებს, რომ უმალ ირწმუნებ: ხელოვნებას მე-19 სკოლაში ყმაწვილებს არათუ ოდენ ზეაღმტაც მუსიკას აზიარებენ, რაც თავისთავად უფაქიზებს სულს აღსაზრდელებს, არამედ ცდილობენ შთააგონონ სიყვარული, რის გარეშეც მადლიერება წარმოუდგენელია, იგი უზემთავრესი, ღვთაებრივი გრძნობაა, რაზეც იოანე მახარებელმა ასე სხარტად და ამომწურავად ბრძანა – ღმერთი სიყვარული არსო.

თამაზ მოლაშვილი: „ორკესტრი 1977 წელს შეიქმნა. შარშანწინ ამ დარბაზში გადავიხადეთ 40 წლის იუბილე. ვილნიუსში გამართულ ფესტივალზე, 27 ორკესტრიდან, პირველობა ჩვენ მოგვანიჭეს; მოსკოვში მიგვიწვია ბაბუშკინოს რაიონმა და ჩვენი გამოსვლა „ვრემიამ“ გადმოსცა. ყოფილი სსრკ-ის თითქმის მთელი ევროპული ნაწილი შემოვიარეთ. მადლობა ქალაქის კულტურის სამსახურის უფროსებს, ბატონებს **რეზო დონაძეს**, **ბერძენიშვილს**, **დათო ოქიტაშვილს**.

ბოლო 15 წლის მანძილზე ჩვენი სკოლის 36-მა კურსდამთავრებულმა განაგრძო სწავლა კონსერვატორიაში. ბევრი მუშაობს საზღვარგარეთაც: საბერძნეთში, თურქეთში, არგენტინაში, უკრაინაში. ჩვენი ნამოწაფრები: **ნინო კუპატაძე** და **სვეტლანა ჩორჩუა** მართავენ სხვადასხვა კონკურსს ნიჭიერთა გამოსავლენად.

უპირველესად, დიდი მადლობა სკოლის 12 პედაგოგს, სამწუხაროდ 2 გარდაიცვალა, ვინც უსასყიდლოდ ასწავლის მუსიკას ლილოს დასახლებაში მდებარე 168-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს. მისი დირექტორი ჩვენი

ნამოწაფარი, ენთუზიასტი ქალბატონი **მაია ხმალაძეა**. მეტიც – იქაც ჩამოყალიბდა ორკესტრი, რომელსაც საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ღირსების ორდენის კავალერი, ბატონი **არჩილ ბაკურაძე** ხელმძღვანელობს. კონცერტს ესწრებოდა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი **გიორგი ტყემალაძე** და ბავშვები კონცერტის ჩასატარებლად საკრებულოში მიიწვია.

სიკეთეს ორი მხარე სჭირდება: ჩამდენ-გამკეთებელი და ამის დამნახავ-დამფასებელი, ჰოდა, მინდა ყველას ვუძღვნა გულითადი მადლობა, ვინც თუნდაც ერთი მისხალით დაგვეხმარა: მადლობა მერიასა და მერს – საორკესტრო განყოფილების მოსწავლეები არ იხდიან სწავლის გადასახადს. მადლობა ამ დარბაზისთვისაც. ორკესტრის პირველი მეცენატი სასტუმრო „აჭარის“ დირექტორი, ბატონი **მიხეილ ლოლაძე** გახლდათ. მან მოსწავლეებისთვის ფორმები შეაკერინა. კულტურის ყოფილმა მინისტრმა, ბატონმა **მიხეილ გიორგაძემ**, ბავშვების შესრულებით აღფრთოვანებულმა ჩაგვირიცხა 22 ათას ლარზე მეტი და ჯაზ-ფესტივალების ძალზე ძვირ ბილეთებს უსასყიდლოდ ურიგებდა მათ. კონსერვატორიის რექტორს, ბატონ **რეზო კიკნაძეს** გაუკვირდა 8 საქსაფონისტი რომ დავახვედრეთ და ისე მოიხიბლა მათი ოსტატობით, იმდენად დარწმუნდა ამ საქმის მნიშვნელობაში, რომ თავად უტარებდა გაკვეთილებს. აღსანიშნავია კონსერვატორიის პროფესორის, ბატონ **ლეო ტყაბლაძის** ღვაწლი. იგი უსმენდა ორკესტრს და მის წევრებს კონსერვატორიისკენ გზას ულოცავდა. მისი ვაჟი, ბატონი **სერგო ტყაბლაძე** გაერთიანებული ორკესტრის ხელმძღვანელი და დირიჟორია. ტრადიცია გრძელდება: სერგოს ქალიშვილმა **თაკო ტყაბლაძემ**, შესანიშნავმა მევიოლინემ, რესპუბლიკურ კონკურსში გაიმარჯვა და ინგლისშია ერთი წლით მივლინებული სასწავლებლად. გოგონათა ორკესტრის ხელმძღვანელი და დირიჟორი კი კომპოზიტორი **ალექსანდრე მწარიაშვილია**. მანამდე ჩვენთან მუშაობდნენ დიდებული დირიჟორები **კარლენ მელიქსიტიანი** და **პავლე ფირცხალაიშვილი**. ძნელად გავა კვირა, კომპოზიტორმა **მერაბ მერაბიშვილმა** რამე ახალი ნაწარმოებით რომ არ გაგვიმდიდროს ორკესტრის რეპერტუარი. კომპოზიტორ **თენგიზ ჯაიანს** ორკესტრისთვის 41 ნაწარმოები აქვს არანჟირებული. ქალბატონმა **ნეკა სეფისკვერაძემ** გოგონათა ორკესტრის წევრებისთვის შეაკერინა ფორმები. უღრმესი მადლობა ფონდ „**იავნანას**“ წევრებს ბატონ **გურამ ახალაიასა** და ქალბატონ **თეა ჯორბენაძეს**. ფონდი უკვე მესამე წელიწადია წამახალისებელ თანხას გვირიცხავს გოგონატა სასულე ორკესტრისათვის. ისე, კაცმა რომ თქვას, ბიჭებმა რა დააშავეს?!

კარგა ხნის მეგობრული შემოქმედებითი ურთიერთობა გვაქვს სახელმწიფო ბიგ-ბენდთან. მადლობა მის დირიჟორს, ბატონ **გივი გაჩეჩილაძეს**, ვისაც წინასწარ ვულოცავ ვარსკვლავის გახსნას; დირექტორს, ბატონ **კახა მარკოზაშვილს**; ბენდის დამაარსებელს, ბატონ **გაიოზ კანდელაკს**, ვინც მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორობისას თავისთან გადაგვახდევინა ორკესტრის 25 წლისთავი.

შეხვედრა-კონცერტებს ვმართავდით – და მათს დიდ მხარდაჭერას ვგრძნობდით – კომპოზიტორებთან, ბატონებთან: **ვაჟა აზარაშვილთან**, **ელიზბარ ლომდარიძესთან**, **კახა ცაბაძესთან**, **ვაჟა დურგლიშვილთან**, **მერაბ მერაბიშვილთან**, აწგარდაცვლილ **შალვა დავითაშვილთან.**

ყველას, ყველას, ყველას უდიდესი მადლობა გულის სითბოსა და გვერდში დგომისათვის. მჯერა, ჩვენი ურთიერთობები უფრო გაფართოვდება და გაღრმავდება.“

კოლეგების სახელით მიესალმა იუბილარებს ხელოვნების მე-16 სკოლის დირექტორი **ლია მავზარაშვილი.**

თავად კონცერტზე კი რა მოგახსენოთ? როგორ შევძლებ, სიტყვებით გადმოგცეთ ის აღმაფრენა, რაც დირიჟორების – **სერგო ტყაბლაძისა** და **ალექსანდრე მწარიაშვილის,** გაერთიანებული და გოგონათა ორკესტრების ოსტატობამ გამოიწვია, რამაც მთელი დარბაზი მოიცვა და ფეხზე მდგომი აპლოდირებდა?

ეს უნდა ნახოთ, მოისმინოთ, რომ აღიქვათ. აღიქვათ პატარა ვირტუოზების საშემსრულებლო ხელოვნება და გაისიგრძეგანოთ მათი აღმზრდელი პედაგოგების გარჯა და ღვაწლი.

მოგესმინათ სოლისტებისთვის: **სოფო ბერულავასთვის, გიორგი აბშილავასთვის, ცოტნე ხარებაშვილისთვის, ბარბარე წიკლაურისთვის, საბა სხულუხიასთვის, დარეჯან სახვაძისთვის, გეგა ასათიანისთვის, ვახტანგ აბშილავასთვის, მარიამ არაბულისთვის, ირაკლი მინდაძისთვის, ხატია გოგსაძისთვის** და უმალ ცხადი შეიქნებოდა ამ გამორჩეულად ნიჭიერი ყმაწვილების დასაოსტატებლად რაოდენი შრომა გაიღეს პედაგოგებმა: **ომარ კოტიშაძემ, ემზარ გვარამაძემ, გიორგი გაგნიძემ, თამაზ ბერიაშვილმა, ნუგზარ გეწაძემ, გულნაზ ჭელიძემ.**

კონცერტი დამთავრდა, მაგრამ გრძელდება მადლსა და მადლიერებაზე, სიკეთესა და მის დანახვა-დაფასებაზე აგებული შემოქმედებითი ურთიერთობანი, რაც ასე ადგება ყმაწვილების სულიერსა და მუსიკალურ აღზრდას.

კონსტანტინე გურგენიძე

150-ე ბაგა-ბაღის წარმატებების საიდუმლო

არცერთი პატარა - მეთვალყურეობა-ზრუნვის გარეშე

პროფესიონალიზმი, დიცისპლინა და საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა თუ გააჩნია ადამიანს, ის წარმატებასაც მალე აღწევს და საზოგადოების პატივისცემასაც იმსახურებს. ასეთ ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება 150-ე ბაგა-ბაღის დირექტორი **მზია მეტრეველი.** იშვიათად შემხვედრია ისეთი მოტივირებული და თავის საქმეზე ფანატიკურად შეყვარებული ადამიანი, როგორიც ქალბატონი მზია გახლავთ. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს არამარტო თავის თანამშრომლებში, არამედ სკოლამდელი აღზრდის სისტემაში. მის საქმიანობას იცნობენ და აფასებენ. იგი, 2007 წლიდან ჩაუდგა ბაღს სათავეში, სადაც საკონკურსო წესით გადმოინაცვლა დედაქალაქის საკრებულოს აპარატიდან. მანამდე კი, არაერთ საპასუხისმგებლო პოზიციაზე მუშაობდა. განვლილ წლებში ბაღში ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა. **150-ე ბაგა-ბაღი** თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში მდებარეობს, საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს და ტრადიციულ საბავშვო დაწესებულებად ითვლება. იგი, პატარებისათვის საყვარელი ადგილია, რადგან აქ მათთვის ყველა

პირობაა შექმნილი, რათა თავი ოჯახურ გარემოში იგრძნონ. ბაგა-ბაღში შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს განსაკუთრებული სისუფთავე და წესრიგი. უახლოეს მომავალში კი, ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელშეწყობით, ეზოს სრული რეკონსტრუქცია, შენობის გარე პერიმეტრისა და ფასადის განახლება იგეგმება.

- ქალბატონო მზია, როგორ შეაფასებთ ზოგადად, თბილისის ბაგა-ბაღების სამსახურის მოღვაწეობას და სააგენტოს ხელმძღვანელის კახაბერ გვანცელაძის საქმიანობას, თქვენთვის მისაღებია მისი აქტივობები და ხედვები?

- რა თქმა უნდა, დადებითად ვაფასებ სააგენტოს საქმიანობას. **კახაბერ გვანცელაძე** შესანიშნავი მენეჯერი და საინტერესო პიროვნებაა. აქვს სწორი ხედვა და საქმეზე არის ორიენტირებული. მან ახალი მუხტი შემოიტანა, კარგად ერკვევა სკოლამდელი აღზრდის სისტემის სპეციფიკაში და არცერთი ნიუანსი არ რჩება შეუმჩნეველი. მუდამ ძიების პროცესშია, არ ეშინია სიახლეების დანერგვის, მეტი წესრიგისთვის სისტემატურად ატარებს ბაგა-ბაღების მონიტორინგს და მოითხოვს დისციპლინას. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი გამართული სისტემა ჯერ არ ყოფილა. ბატონი კახაბერისათვის მთავარია თანამშრომელი იყოს პროფესიონალი, საქმისადმი თავდადებული, საღი აზროვნებისა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით. ჩემთვის დიდი მოტივაციის მომცემია ყოველი კვირის დასაწყისი, ახალ-ახალი დავალებების მიღება და საქმიანი ურთიერთობები სააგენტოსთან. ეს ძალიან დიდი სტიმულია. ინერგება სიახლეები და იხვეწება სკოლამდელი აღზრდის სისტემა. ბ-ნ **კახაბერ გვანცელაძეს** ყოველ დეტალზე

საგულდაგულოდ აქვს ნაფიქრი და თანმიმდევრულად ნერგავს ინოვაციებს. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ბატონი კახაბერი ანგარიშვალდებულად თვლის თავს გაგვაცნოს თავისი საქმიანობაც და ამასთან ერთად ბაგა-ბაღების დირექტორებმა სააგენტოს ხელმძღვანელებსა და მშობლებს წარუდგინოთ წლის ანგარიში.

- რამდენად დიდი ყურადღება ექცევა აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებას, თანამედროვე სააღმზრდელო მეთოდოლოგიის გაცნობას?

- კადრების გადამზადების თემა პრიორიტეტულია და იგი მუდმივ რეჟიმში წარმოებს. ამ ეტაპზე საკვალიფიკაციო ტრენინგები აქვთ გავლილი ბაგა-ბაღის მეთოდისტს, ფსიქოლოგსა და ლოგოპედს. მათი კვალიფიციურობა პირდაპირ აისახება აღმზრდელების საქმიანობაზე. წარმატებული აღმოჩნდა მეთოდისტის მიერ ორგანიზებული შიდა ტრენინგები. აღმზრდელებთან და თანაშემწეებთან დამუშავდა ისეთი აქტუალური თემატიკა, როგორიცაა ადრეული, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბავშვთა უფლებათა კონვენცია, საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ; აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი; ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტები; შეფასების მეთოდები; პატარა და დიდ ჯგუფებში სწავლება; ხარისხის სტანდარტის განხილვა; აღმზრდელ პედაგოგის როლი და სწავლების სტანდარტები და სხვა;

მიმდინარე საგანმანათლებლო მუშაობაზე დაკვირვებამ გამოკვეთა როგორც დადებითი, ასევე ნაკლოვანი მხარეებიც. სწორედ საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის სტანდარტების დამკვიდრებისა და დაცვის ღონისძიებებს ემსახურებოდა გასულ კვირას ბაგა-ბაღში აღმზრდელებთან და მათ თანაშემწეებთან ჩატარებული შემაჯამებელი ანალიტიკური მეთოდურ-პრაქტიკული ღონისძიება. მულტიდისციპლინარული ჯგუფის მიერ (ფსიქოლოგი, მეთოდისტი, ლოგოპედი, ექთანი, აღმზრდელი და მშობელი) უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა განაკუთრებული საჭიროების მქონე პატარებთან, ჩვენთან აღნიშნული კატეგორიის 7 აღსაზრდელია. მათ აუტისტური სპექტრის, დაუნის სინდრომისა და ცერებრალური დამბლის დიაგნოზი აქვთ. მშობლების ჩართულობით, ინდივიდუალური მუშაობის გეგმა იწერება და ყოველი სემესტრის ბოლოს, გაწეული მუშაობა ჯამდება. რაოდენ სასიხარულოა, რომ წლიდან-წლამდე ბავშვებთან ინდივიდუალური მუშაობით შედეგებს ვაღწევთ.

- სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია გარემო, უსაფრთხოება და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, ამ მხრივ თქვენთან რაიმე სიახლე დაინერგა?

- ჩვენს აღსაზრდელებს შესანიშნავი სააღმზრდელო და უსაფრთხო გარემო აქვთ შექმნილი. ბაღის შემოსასვლელ ფოიეში დავამონტაჟეთ დიდი მონიტორი, მშობლებს საშუალებაა აქვთ დააკვირდნენ ბაღში მიმდინარე პროცესებს. ბაღი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, მეთოდური და საბავშვო ლიტერატურით. ყურადღებას იქცევს ბაღის ცხოვრებაში **„მშობელთა კლუბის"** საქმიანობა. მშობელთა სოციოლოგიური კვლევების ანალიზისა და მათი აზრის გათვალისწინებით ხდება ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა. ჩვენთან აღსაზრდელები იძენენ ისეთ უნარ-ჩვევებს, რომელიც საბაზისოა მათი მომავალი სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ბაგა-ბაღში წარმატებით ხორციელდება **„სასკოლო მზაობის პროგრამა''**. პატარებს ვასწავლით ზრდილობას, უფროსებთან და ბებია-ბაბუებთან ურთიერთობას, მათ პატივისცემას, სამშობლოს სიყვარულს. ბავშვებს ვესაუბრებით ეთიკაზე, გარემოს დაცვაზე და ეკოლოგიაზე. ხშირად ენყობა თანამშრომლების შიდა სწავლების მეთოდიკა, ყოველი სიახლე და მეცადინეობა თითოეულ ბავშვზეა მორგებული. შემეცნებითი განვითარების თემატიკა კი მრავალფეროვანია. ნებისმიერ თემას ღრმად და საფუძვლიანად ვეცნობით. სისტემატურად ვაწარმოებთ შიდა მონიტორინგს, რომელშიც ჩართულია **დირექცია, ფსიქოლოგი, მეთოდისტი, ლოგოპედი** და **მშობლები**. ჩვენი ჯგუფი აკვირდება ბაღში მიმდინარე თითოეულ მოვლენას, აღწერს პროცესებს, ყველა აქტივობებს, აღსაზრდელების ჰიგიენას, ვაფიქსირებთ ნაკლოვანებებს, შემდეგ ვიკრიბებით და განვიხილავთ დადებით თუ უარყოფით მხარეებს, ვადგენთ სამომავლო მუშაობის მეთოდიკას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დამამთავრებელი ჯგუფის 80-მდე აღსაზრდელის მომზადებას და მათი უნარების შეფასებას.

მნიშვნელოვნად საყურადღებოა პატარების კვების პროცესის, სან-ჰიგიენის წესების, უსაფრთხოების ნორმების დაცვა. სულ ახლახან დამონტაჟდა ხანძარაწინააღმდეგო სიგნალიზაცია. ჩვენი უპირველესი მოვალეობაა, **არც ერთი პატარა არ დარჩეს მეთვალყურეობისა და ზრუნვის გარეშე.**

- როგორ მიმდინარეობს შემოქმედებითი პროცესები, ჩატარებული ღონისძიებებიდან რომელს გამოყოფდით?

- ბაგა-ბაღში დიდი ყურადრება ექცევა შემოქმედებითი უნარებისა და ბავშვების ხელოვნებისადმი სიყვარულის განვითარებას. ჩვენთან მთავარი თემაა პატარებში ეროვნული სულისკვეთება გავაღვივოთ, შევაყვაროთ ქართული ფოლკლორი, ხალხური ლექსები და ზეპირსიტყვიერება. ხშირად ენყობა თემატური შეხვედრები, სპორტული ღონისძიებები, ტარდება თეატრის კვირეულები. ფუნქციონირებს **„თოჯინების თეატრი''.** ბავშვების მონაწილეობით იდგმება საინტერესო სპექტაკლები, რომლის სცენარებიც საგანგებოდ მზადდება და დირექციის ჩართულობით საბოლოო სახეს იღებს. შთამბეჭდავი იყო მწერალ **გურამ მეგრელიშვილის** ჩვენთან სტუმრობა. ამ დღეს მოვაწყვეთ წიგნების გამოფენა, ბავშვებმა მოირგეს საყვარელი გმირების სასცენო კოსტუმები, ერთმანეთს გაუზიარეს საინტერესო პერსონაჟთა ცხოვრება და სხვა. ბაგა-ბაღის მდიდარი წიგნადი ფონდი ყველა საშუალებას იძლევა წიგნიერების პროპაგანდის მიმართულებით. ნებისმიერი ნაწარმოებისა თუ მულტიპლიკაციური ფილმის ნახვის შემდეგ, ბავშვებთან ხდება მათი განხილვა. 3 აპრილიდან ბაგა-ბაღში იწყება თეატრის კვირეული, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ 4-5 და 5-6 წლიანთა ჯგუფის აღსაზრდელები. წარმოდგენილი იქნება თეატრალიზებული სანახაობები და ბაგა-ბაღში მოქმედი თოჯინების თეატრის სპქტაკლები. 26 მაისს კი დაგეგმილი გვაქვს ღონიძიება, რომლის მთავარი თემა, რაღა თქმა უნდა, **პატრიოტიზმი** იქნება.

ქალბატონი მზიას თქმით, 150-ე ბაღის მუშაობის წარმატებას განაპირობებს ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთან საქმიანი ურთიერთობები. ბაგა-ბაღში არ არსებობს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი რგოლი. ეს ერთიანი პროცესია და თითოეულმა თავისი სამსახურეობრივი ფუნქცია საუკეთესოდ უნდა შეასრულოს, რაც წარმატების საწინდარია და ახალი გამარჯვება უსათუოდ მოვა.

მზია გოგოძე

მე-60 ბაგა-ბაღი უბნის მშვენებაა

დედობრივი მზრუნველობით იზრდებიან

ჩვენი გაზეთის სტუმარია მე-60 ბაგა-ბაღი, რომელიც ერთ-ერთი პრესტიჟულია, გამოირჩევა სიახლეებით, პატარებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით, სანიტარულ-ჰიგიენური წესების ზედმიწევნით დაცვით და უსაფრთხოებით. ბაღს ამშვენებს გამწვანებული ატრაქციონებიანი ეზო, რომელიც მოპირკეთებულია და გარშემორტყმულია კაპიტალური ღობით. შენობა მოწესრიგებულია და აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით. ოთახები და დერეფნები ესთეტურად არის მორთულ-მოკაზმული. ბაღის ინტერიერი დამშვენებულია სხვადასხვა თვალსაჩინოებებით, აპლიკაციებით და ყვავილებით. სასწავლო — აღმზრდელობითი პროცესი კი, შესანიშნავად მიმდინარეობს. ბაღის მთელი კოლექტივი ერთ გუნდად არის შეკრული და ერთობლივად თავდაუზოგავად ზრუნავენ აღსაზრდელებზე. მაღალკვალიფიციური აღმზრდელები კი, შემოქმედებითი კუთხით უძღვებიან საქმეს და ცდილობენ პატარებს კრეატიული უნარ-ჩვევები განუვითარონ.

საბავშვო დაწესებულებაში შესვლისთანავე იგრძნობა, რომ ბაღს კარგი ხელმძღვანელი და მენეჯერი ჰყავს. აქ ყველგან სისუფთავე და წესრიგია. თავდაპირველად თანამშრომლებს გავესაუბრე, რომლებმაც საქებარი სიტყვები არ დაიშურეს დირექტორის მისამართით, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა და ბაღი ააღორძინა.

ბაგა-ბაღის ხელმძღვანელი **მარინე სამსონიძე,** გამოცდილი და წარმატებული დირექტორია. ქალბატონი მარინე წლების წინ ნაძალადევის რაიონის გამგეობაში მუშაობდა მთავარ სპეციალისტად, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, გამგეობის პასუხისმგებელ მდივნად, თბილისის მერიის განათლების სამსახურში — აპარატის უფროსად. იგი, 2007 წელს, კონკურსის წესით დაინიშნა ბაღის დირექტორად და წარმატებით ხელმძღვანელობს აღნიშნულ საბავშვო დაწესებულებას, ცდილობს პატარებისთვის მაქსიმალური კომფორტი შექმნას. მისი მოსვლის დღიდან ბევრი რამ გაკეთდა. ბაგა-ბაღების სააგენტოს დახმარებით, გარემონტდა შენობის გარე ფასადი, ბაღი მთლიანად მოწესრიგდა, შეიცვალა ინტერიერი და აღიჭურვა თანამედროვე მოწყობილობით. შეიცვალა საბავშვო ინვენტარი, სამზარეულო ტექნიკა და ა.შ. ერთი სიტყვით, პატარებს სრული კომფორტი შეუქმნეს და მშობლებიც გაახარეს.

ბაღში გაიზარდა აღსაზრდელების რაოდენობა და დაემატა ჯგუფები, ახლა სულ 450 ბავშვია, ხოლო13 ჯგუფია. არის განსაკუთრებული საჭიროების 7 ბავშვი და მათთან სპეცპედაგოგები **შორენა გოცირიძე** და **თამილა ჯოხაძე** მუშაობენ. ბაღს ემსახურება, განათლების პროგრამების კოორდინატორი **ნინო ბიაშვილი,** ლოგოპედი **მზია სტვილია** და ფსიქოლოგი **ირინა ცხოიძე.** დირექტორის მარჯვენა ხელია მისი მოადგილე **თინათინ ფიცხელაური,** რომელიც მრავალი წელია ბაღში მუშაობს და დიდი წვლილი მიუძღვის ბაღის წარმატებაში.

საგულისხმოა, რომ ბაღი აქტიურადაა ჩართული **„სასკოლო მზაობის პროგრამაში“** და 75 აღსაზრდელი კარგად არის მომზადებული სკოლისათვის. აქ ხშირად იმართება სეზონური, სასწავლო ხასიათის გასართობი ღონისძიებები, სხვადასხვა აქტივობები და ღია გაკვეთილები. ჩატარებული ღონისძიებიდან აღსანიშნავია: დაუნის სინდრომის დღის აღნიშვნა სახელწოდებით: **„მზის შვილები“, „აუტიზმის დღე“, „შეეხეთ სამყაროს სხვადახვა ფერით“.** სულ მალე კი, აღნიშნავენ დედამიწის დღეს.

თავიანთ მოვალეობას შესანიშნავად ასრულებენ: საქმის მწარმოებელი **დალი ნიაური,** მნე **მზია ჭანკოტაძე** და ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **ქეთევან კახობერაშვილი.**

ცუგრუმელებს მზრუნველობას არ აკლებენ აღმზრდელები, რომელთა საქმიანობით დირექციაც და მშობლებიც კმაყოფილები არიან. ესენია: **ჯულიეტა სოხაძე, დიანა შარიქაძე, ქეთევან პაპიაშვილი, ციალა მახარობლიშვილი, ციცინო სხირტლაძე, თინა დავითაძე, ლიანა ჩიქოვანი, მზია ორჯონიკიძე, ციალა ჩალიგავა, დიანა შარიქაძე, ნინო ბოკუჩავა, გიული ბარნაბიშვილი, ფატიმა ოდიშარია, ნათია ხუნაშვილი, ირმა გოგიბერიძე** და **მაია ჟორჟოლიანი.**

პატარებზე განსაკუთრებით ზრუნავენ აღმზრდელის თანაშემწეები: **ეკა ოდელაძე, მზია ხუდიევა, ანასტასია ლევერაშვილი, ლუდა ფარსადანიშვილი, ლაურა ლიჩელი, სოფო ჯოლია, ნინო კუსიანი, მაკა ხაჩიური, მაია მახაჭაშვილი, ნინო ჯიბლაძე, თამარ ორჯონიკიძე, ზაირა გედევანიშვილი, ლელა კანდელაკი, მთვარისა ობოლაძე, ნინო გიორგობიანი, ქეთევან სამხარაძე, თამარ სოიტაშვილი, ირინე გელაშვილი, ნაზიბროლა ობგაიძე, ნონა ხერგიანი, მანოლი ღვინაძე, ირმა კოსტავა, ხათუნა ქართველიშვილი** და **მირანდა სირბილაძე.**

შემოქმედებით პროცესს შესანიშნავად უძღვებიან მუსიკის პედაგოგები: **ლედი ლორია** და **ქეთევან ზუბიაშვილი.**

პატარებს ცეკვის გაკვეთილებს უტარებს და ქართულ ხელოვნებას აყვარებს **მანანა მამალაძე.**

საბავშვო ბაღში დიდი ყურადღება ექცევა პატარების კვებას. მათ გემრიელ კერძებს უმზადებენ გამოცდილი მზარეულები: **მანანა ქაჩლიშვილი, ციცინო მილაძე** და **დარეჯან ივანაშვილი.**

ხაზგასასმელია, ტექნიკური პერსონალის თავდაუზოგავი შრომა. ესენია: **ციალა პეტროსიანი, ქეთევან გეგეჭკორი, თამარ ყუბანეიშვილი, მზია აბუაშვილი, ნანი ქალიაშვილი, ეთერ ბოლქვაძე, ნუნუ ბალამწარაშვილი, ინგა გურგენიშვილი, ლანა გუბელაძე, ზაზა მიქელაძე, იზა ზარდიაშვილი, ანზორ ხვედელიძე, თამარ ნადირაშვილი** და **ვლადიმერ ჯირგველაძე.**

აღსანიშნავია, რომ მე-60 საბავშვო ბაგა-ბაღში ყველა წარმატება მიღწეულია თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებს შორის გუნდური ურთიერთობით და თავდადებული შრომით, ამიტომაც შედეგი თავლსაჩინოა, პატარებს კი, არაოსდეს დაავიწყდებათ ბაღში გატარებული ლამაზი დღეები.

მზია გოგოძე

ლიტერატურული გვერდი

პედაგოგის პოეტური პალიტრა

ცხოვრება თურმე ბეწვის ხიდია...

პერიოდულად ვაქვეყნებთ პედაგოგების მხატვრულ შემოქმედებას, ლიტერატურულ ნაწარმოებებს და ამჯერად, გაეცნობით ღვაწლმოსილი პედაგოგის **მერი გაბრიჭიძის** ლექსებს. ქალბატონი მერი დაიბადა და გაიზარდა ჭიათურაში, სოფელ ზოდში. პედაგოგიური განათლება ქუთაისში მიიღო, სადაც დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. თავდაპირველად პედაგოგიური პრაქტიკა, ამავე ქალაქში, პირველ საშუალო სკოლაში გაიარა, სადაც ცნობილი კორიფეები სწავლობდნენ და მოღვაწეობდნენ. შესანიშნავმა მასწავლებლებმა კი, დიდი გავლენა იქონიეს შეგირდის პროფესიონალად ჩამოყალიბებაზე. ახალბედა მასწავლებელი კვლავ თავის მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა, იქ განაგრძო პედაგოგიური მოღვაწეობა, მუშაობდა ჭიათურის მე-5 და მე-7 საჯარო სკოლებში. 1979 წლიდან კი, ჭიათურის პირველ საშუალო სკოლაში მოღვაწეობდა. პედაგოგიურ საქმიანობას პირადი ცხოვრებაც შესანიშნავად შეუთავსა, დაოჯახდა, ჰყავს ორი შვილი, ორი შვილიშვილი და ოთხი შვილთაშვილი. მოსიყვარულე ბებია, ლექსებს წერს შვილიშვილებისთვის ადვილად მისაწვდომი ენით.

მსუბუქი და ლაღია მისი ლექსები. გულწრფელობის ელფერი დაჰკრავს და ისეთივე სადაა, როგორც თავად ავტორი. მთელი ცხოვრება მომავალი თაობის აღზრდას მიუძღვნა, თუმცა, პოეზიის სიყვარული დღემდე თან დაჰყვება.

პოეზიასთან წილნაყარი პედაგოგი წერს თავის გულწრფელ ემოციებზე, სიყვარულზე, სამშობლოზე, მშობლიურ კუთხეზე, ახლობელ ადამიანებზე, ასე რომ, თემატიკა მრავალფეროვანია. ლექსი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, მისი მესაიდუმლე, სადაც შეუძლია გულახდილი იყოს და ფურცლებზე გადაიტანოს ყველა ის ემოცია, რასაც რეალურად განიცდის. **„ცხოვრება თურმე ბეწვის ხიდია“** ამბობს 80 წლის ქალბატონი და აქვე დასძენს, რომ ცხოვრება სავსეა ქარტეხილებით, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც სიკეთეა: **„სიკეთე დასდე, სიკეთე თესე .... ეს იყო კრედო ჩემი ცხოვრების“.**

კეთილშობილი და გულისხმიერი პედაგოგი, ლექსების კრებულის გამოცემაზე ფიქრობს, სადაც შემაჯამებელი ანგარიშით წარსდგება მკითხველის წინაშე. გაზეთი **„სახალხო განათლება+''** ღვაწლმოსილ პედაგოგს ჯანმრთელობას და ხანგრძლივ შემოქმედებით წარმატებას უსურვებს.

ანანო სამელია

მერი გაბრიჭიძე

საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლ შინმოუსვლელთ

შენ ბავშობას გადავხედე გუშინ,
გამახსენდი პირტიტველა ბიჭო,
ულამაზეს ასულების ჟრჟოლავ,
ულმობელად დაშრეტილო ნიჭო.

რწმენა იყო შენი სიცოცხლისა,
დედის გული სასწორს თვისკენ წევდა.
,,იქნებ ბიჭი გადაურჩეს ურჩხულს“
გული მაინც საიმედოდ ცემდა;

მოხალისე ჯარისკაცი გერქვა.
თითქოს ომი სახალისო იყო,
მთელი ძალით შეებრძოლე მომხდურს,
რადგან შენ წინ საქართველო იდო.

უგზო - უკვლოდ დაიკარგე მაშინ,
რატომ დაგყვა შენ ასეთი ბედი?
დიდხანს , დიდხანს დამელოდა დედა,
გულისწორმაც არ ირჩია მეტი.

შენ ბავშობას გადავხედე გუშინ,
გამახსენდი პირტიტველა ბიჭო,
ულამაზეს ასულების ჟრჟოლავ,
ულმობელად დაშრეტილო ნიჭო!

ბოლო დოლი

შემოუშვით მაგ ცხენების რემა!
მომენატრა ჩემი გიჟი ,,ლურჯა“,
რაებს როშავ საცოდაო თავო,
რაღა არის გასაკვირი თუმცა?
მე ბავშვობა მომენატრა ჩემი,
მომეძალა შორს წარსულზე ფიქრი,
შენ ამ დოღში გაიმარჯვებ გჯერა?
საით გასწევ გულო საით მიქრი?!
თუმც წარსულში ბედისწერის გზები,
დაიხლართა და შეძრწუნდი სულო,
ახლა როცა ლაბირინთებს გასცდი,
დაწყნარდი და დაივანე გულო.
გზაშორეთის მხოლოდ ერთი არის,
ვინც ამ გზაზე დაღლას ვეღარ იგრძნობს,
ვინც ,,საწურთო“ მოილია მადლით,
გამარჯვებაც დოღში მისი იყოს

ჩემ შვილიშვილ გიორგის!

გაზაფხულმა დამპატიჟა საუფლოში.
სიყვარულით შემაგება ნაზი სიო.
მან მომიძღვნა სიურპრიზად საჩუქარი,
საჩუქარი დიდზე დიდი ჩემი გიო.
დაილოცოს გამგებლობა ღმერთო შენი.
ამ საჩუქარს განა ფასი დაედება?
მის ფასს მხოლოდ ის გაიგებს,
ვინც გამოცდის.
ვისაც მისი სიყვარული გაეგება.
ერთ სახელში განა ჩატევ ამ სიხარულს?!
შვილს, რომ კიდევ გაუჩნდება თვისი შვილი.
ყველა განძი ჩამიტოვა ამ სახელმა,
და დაერქვა ამ სიცოცხლეს შვილიშვილი.
სხვა რა მეთქმის, სამადლობელს,
მოწიწებით გწირავ ღმერთო.
გაზაფხულს ვთხოვ გამიხარე.
ჩემი გიო შენ წილხვედრო.

მტრედები

ო, რა ტკბილად ღუღუნებენ მტრედები.
ნისკარტებით ერთურთს ეფერებიან,
არ იციან მტრობა, შური, რა არის
წმინდანებად ალბათ იბადებიან.
თქვენ მშვიდობა დაგეკისრათ მისია.
ეს სიკეთე მწამს რომ ღმერთმა გარგუნათ
ცოტა - ცოტა გვიწილადეთ ადამთ მოდგმას
რადგან იგი ბუნებაში გაქვთ.

არ დანებდე!

წუთისოფლის მგზავრი ვიყავ მე უბრალოდ.
წუთით სოფელს არ ვზომავდი მაშინ თუმცა,
შორეულში მოჩვენებად წარმოსახულს,
ჩემს წინაშე აღიმართა იგი უცბად.
ჩაიცინა, ირონიულ სიცილით და
დაიჩოქე! მბრძანებლურად მესმა ყურში,
თვალი თვალში გავუყარეთ ერთურთსა და
შერკინება გადავწყვიტე მყისვე გულში.
ხან ვეცემი, ხან ეცემა,
ვძიძგილაობთ დიდხანს, დიდხანს,
ხალიჩაზე დაცემულს კი
შეშველება ნაღდად მინდა.
წლებმა მითხრა -ჰა, იმარჯვე!
წამოდექი წრაფად!
წამოდექი! - ოთხმოცისაც
არ გამხდარხარ რადგან.
არ ველოდი სიძაბუნეს ასე ადრე,
არ ველოდი დათრგუნვილი სულის წრიალს,
თუმცა, გული არ ბერდება, მაინც შფოთავს
და მკარნახობს - არ დანებდე!
არ დანებდე!
ამ ცხოვრების ორომტრიალს!

წოდების მინიჭება

ქართულ ჟურნალისტიკაში ხანგრძლივი და წარმატებული მოღვაწეობისათვის გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის მთავარ რედაქტორს **ბორის მიშველაძეს** მიენიჭა **საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება.**

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი

ვ უ ლ ო ც ა ვ თ !

„სახალხო განათლება +-ის რედაქცია

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ N6 (4581)
10 აპრილი / 2019 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246; თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009